# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · სამშაბათი, 11 თებერვალი 1997 №15 (380) · ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკრების მწვრთნელი ყიფიანია!



ჩივაძე და ყიფიანი — ყველაზე სახელიანი „დინამოს" ორ ლიდერი. ერთმა უკვე უხელმძღვანელა ნაკრებს, მეორე კი ახლა იწყებს...

მოვლენები მართლაც ისეთი კალეიდოსკოპური სისწრაფით განვითარდა, როგორც აღმასკომის სხდომის წინა ღამეს დავით ყიფიანმა ივარაუდა. ყიფიანი, მთელი თვე, 9 იანვრიდან დაწყებული 6 თებერვლამდე ნაკრების მწვრთნელობაზე კატეგორიულ უარს რომ აცხადებდა, შვიდში ნირნაცვალი გვეჩვენა.

მართალია, ყიფიანმა მერამდენედ დასმულ კითხვაზე კონკრეტულად აღარაფერი გვიპასუხა, მაგრამ მრავალმნიშვნელოვნად დასძინა, მოვლენები ისეთი `სისწრაფით ვითარდება, რომ... ...რომ გამორიცხული არ არის, გაუთვალისწინებელი რამ მოხდეს — დაასკვნიდა ნებისმიერი.

და მაშინ, როცა ყიფიანზე მეტად ხალხი ლატვიიდან ჩამოსულ ძოძუაშვილზე მსჯელობდა და ბაასობდა, ნაკრების მწვრთნელად სწორედ ისეთი კაცი დაინიშნა, ვისაც, მისივე სიტყვებიდან გამომდინარე, თითქმის არავინ ელოდა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან ნაჩვევი ვართ უცნაურ სიურპრიზებს, ყიფიანიც არაორდინალური კაცია, თუმცა ამას ახლა იქნებ აღარც ჰქონდეს არსებითი მნიშვნელობა, რადგან ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს — საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი დავით ყიფიანი.


## დღევანდელ «სარბიელში»

პირველი ინტერვიუ საქართველოს ნაკრების ახალ მწვრთნელთან

**დავით ყიფიანთან**

აგრეთვე საუბარი აღმასკომის სხდომამდე ყველაზე რეალურ კანდიდატად მიჩნეულ

**რევაზ ძოძუაშვილთან**

## ხუთშაბათის «სარბიელში»

**ინგლისი — იტალია**

ჩვენი ლონდონელი კორესპონდენტის რეპორტაჟი

**„უემბლიდან"**

# 8 თებერვალი. დავითობა.

[illegible]




[illegible]



[illegible]

## პრეს-კონფერენცია

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

...რამდენჯერაც მისაუბრია რევაზ ძოძუაშვილთან, იგი ყოველთვის გულახდილი იყო, სათქმელს ყოველთვის პირდაპირ, მიუკიბ-მოუკიბავად ამბობდა, მაგრამ ტაქტის გრძნობას არასოდეს ჰკარგავდა. ვინც იმსახურებდა, ყველას ზომიერად აკრიტიკებდა, ქათინაურებითაც არავის აბეზრებდა თავს და, თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, მისი ამასწინანდელი ინტერვიუ „სარბიელისთვის" გამორჩეული გვეჩვენა. მაშინ ვიგრძენი, რომ ძოძუაშვილი ბოლომდე გულახდილი იყო. როცა მას ეს აზრი გავანდე, ხელები გაშალა, გასაკვირი და ახალი არაფერი მითქვამს, როგორიც ბუნებით ვარ, ისე ვსაუბრობო. და მაინც, ცოტა ეჭვი კი შემეპარა, მაგრამ „მიხიჩას" გულწრფელობაში საბოლოოდ მაშინ დავრწმუნდი, როცა პირველი ინტერვიუ ჩამოვართვი, პირველი, როგორც ეროვნული ნაკრების მეორე მწვრთნელს. ასე რომ, არ გაგიკვირდეთ, თუ რაიმე ახალს, ჯერაც უთქმელს გაიგებთ.

...ძოძუაშვილების ოჯახში, ჩემი იქ ოთხსაათიანი სტუმრობისას, ტელეფონის ზარი არ შეწყდარა. რეკავდნენ ახლობლები, მეგობრები, გულშემატკივრები და ყველანი ერთს ეკითხებოდნენ ძოძუაშვილს, მას კი, თავჩაქინდრულს, პასუხი მზად ჰქონდა — არ ვიცი, თავი დამანებეთ, წადით და ყველაფერი ალმასკომის წევრებს ჰკითხეთო. ჩემი პირველი კითხვაც ასეთივე იყო, მაგრამ სანამ პასუხს მივიღებდი, გაბმული ზარი გაისმა — ხაზზე რიგის „სკონტოს" პრეზიდენტი გუნტის ინდრიკსონი იყო:





შაბათს ფეხბურთის ფედერაციასთან: ძოძუაშვილი ალმასკომამდე და ალმასკომის შემდეგ

# ალმასკომის ვერდიქტმა თმები ყალყზე დამიყენა

— როცა ინდრიკსონს ალმასკომის გადაწყვეტილება ვაცნობე, წყენით მითხრა, მე იმ პირობით განთავისუფლებდი კლუბიდან, თუ ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაგნიშნავდნენო. მეორე მწვრთნელად არ მემეტები და დაუყოვნებლივ რიგაში ჩამოდიო. ისეთ პირობას შეგიქმნი, შენი დამსახურების კაცს რომ შეეფერებაო. დავამშვიდე, ავუხსენი მდგომარეობა, მაგრამ პასუხად მაინც ეს მივიღე — ვიცი, როგორ შეგტკივა გული ქართული ფეხბურთისთვის, მაგრამ შენს პოტენციალს მაგ თანამდებობაზე ვერ გამოავლენ, გთხოვ, იფიქრო, აწონ-დაწონო ყველაფერი და ჩვენთან ჩამოდი. ბოლო ბოლო, ჩემპიონთა ლიგის თამაშებისთვის მაინც დაგვეხმარებიო.

**— რას აპირებთ? როგორც ჩანს, ჯერ არაფერი გადაგიწყვეტიათ...**

— არც კი ვიცი, რა გიპასუხოთ. ასეთ ვითარებაში პირველად აღმოვჩნდი. რიგიდან იმისთვის მომიწვიეს, რომ ეროვნული ნაკრები ჩაებარებინათ, მეც თითქმის დარწმუნებული ვიყავი ჩემს მთავარ მწვრთნელობაში. ამიტომაც ალმასკომის სხდომისგან ყველაფერს მოველოდი, გარდა ამისა. ხალხი უკვე მილოცავდა, მეც ნაწილობრივ ჩამოყალიბებული მქონდა მომავლის გეგმები და უცებ... არ ვიცი, ალმასკომის წევრებმა რა მოითათბირეს. მე და დათო ყიფიანი სხვა ოთახში ვიყავით. როცა დაგვიძახეს და მათი ვერდიქტი გაგვაცნეს, თმები ყალყზე დამიდგა. ფედერაციის შენობიდან გამოსულს კი ყველანი იმას მეკითხებოდნენ — მიხიჩ, მოგილოცოთ თუ არაო.

**— თქვენ რას პასუხობდით?**

— როგორც გინდათ, ისე მოიქეცითმეთქი. სწორად გამიგეთ, გამოუვალ მდგომარეობაში ვარ.

**— ალმასკომის ვერდიქტი გასაგებია, მაგრამ თქვენი იქ შესვლისას კონკრეტულად რაზე ისაუბრეთ?**

— გამოგვიცხადეს, ყიფიანი მთავარი მწვრთნელი იქნება, შენ კი მეორე, ორივეს თანაბრად გეკისრებათ პასუხისმგებლობაო. სიმართლე გითხრათ, ეს არის ყველაზე გაუგებარი ჩემთვის. თუ მეორე მწვრთნელი ვარ, მაშინ, შესაბამისად, პასუხისმგებლობაც ნაკლები უნდა დამეკისროს, თუ არადა...

ზემოთაც ვთქვი, ლატვიიდან იმიტომ წამოვედი, რომ ეროვნული გუნდის მთავარი და არა მეორე მწვრთნელი ვყოფილიყავი. უბრალოდ, ამათი ვერ გამიგია: დაენიშნათ მთავარი მწვრთნელი და მორჩა. აბა, ნახეთ, ახლა რა გამოვიდა: დანიშნეს ყიფიანი, თანაშემწედ მე გამამწესეს, ისე, რომ არც უკითხავთ, თანახმა ვიყავი თუ არა. იქნებ დათო ყიფიანს სულაც არ სიამოვნებს ჩემთან თანამშრომლობა, მაგრამ ამას საქვეყნოდ ხომ ვერ გამოაცხადებდა? ამ ნაბიჯით, ასე ვთქვათ, ორივენი დაგვავალდებულეს, რათა ერთმანეთთან გვემუშავა. ისე არ გამიგოთ, თითქოს ყიფიანთან საპრეტენზიო მქონდეს რამე. მაგრამ, მგონი აჯობებდა, ყველაფერი შეთანხმებული ყოფილიყო. რა საჭირო იყო, მეორე მწვრთნელიც ალმასკომს დაენიშნა? ყველგან ასეა, თავის თანაშემწეებს მთავარი მწვრთნელი ირჩევს თავისი შეხედულებისამებრ, ჩვენთან კი ყველაფერი „ორიგინალურად" უნდა მოხდეს.

**— თქვენი სიტყვები მაფიქრებინებს, რომ ყიფიანიც ვალდებული გახდეს, ძოძუაშვილთან ემუშავა.**

— ამას ჩემი საუბრიდან ნუ დაასკვნით, ალმასკომმა გადაწყვიტა ასე. მე კი, წელანაც ვთქვი, ყიფიანის მიმართ საპრეტენზიო არაფერი მაქვს-მეთქი და არა მგონია, დათოც უარზე იყოს.

**— მით უმეტეს, რომ თქვენ ერთად უკვე გიმუშავიათ...**

— მაშინ „დინამოში" ვიყავით. ყველაფერში ვუგებდით ერთმანეთს და შედეგიც შესაბამისი გვქონდა. თითქმის ყველა პრობლემურ საკითხს ერთად ვწყვეტდით. ორივენი კმაყოფილები ვიყავით და იმედი მაქვს, ახლაც ასე გაგრძელდება. თუმცა კი, ახლა სხვა დროა, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ყიფიანი კვიპროსზე მუშაობდა, შემდეგ კვლავ „დინამოში". მე ამჟამად ლატვიაში ვსაქმიანობ და იქნებ ჩვენი შეხედულებები ფეხბურთზე ცოტათი შეიცვალა კიდეც. ვნახოთ, დრო ყველაფერს გვიჩვენებს. თუ ღმერთმა ჰქნას და, კვლავ ძველებურად გავუგებთ ერთმანეთს, ხომ კარგი, თუ არა, მას საქმიანობაში ხელს ნამდვილად არ შევუშლი, დავიხურავ ქუდს და წავალ. ჩვენს ახლო მეგობრობას ფეხბურთს ვერ გადავაყოლებ. გაუგებრობის შემთხვევაში ისე წავალ, არავის დავეკითხები.

**— ესე იგი, საბოლოოდ გადაწყვიტეთ — ნაკრების მეორე მწვრთნელობაზე ყაბულს ხართ...**

— ამ მომენტისთვის ასეა (ინტერვიუ ჩაწერილია 8 თებერვლის საღამოს — კ. ი.). თუმცა არ იფიქროთ, ძოძუაშვილმა ყველაფერი უკვე გადაწყვიტაო. თან ერთი ფაქტორიც არის: ერთი საათის წინ ინგლისს გასამგზავრებელი ბილეთი მომიტანეს და ამით კვლავ დამავალდებულეს, რომ ალბიონზე გავემგზავრო.

**— ყიფიანთან ერთად მიდიხართ?**

— ალბათ. ბილეთი მასაც მიუტანეს.

**— ერთმანეთთან ჯერ არ გისაუბრიათ?**

— არა. მხოლოდ რამდენიმე წუთით ვისაუბრეთ და ამის შესახებ ვერაფერს გეტყვი. ალმასკომმა დაგვავალა, 25 თებერვალს პროგრამა წარმოადგინეთო. უახლოეს დღეებში ალბათ ამაზეც მოვითათბირებთ.

**— „სარბიელისთვის" მიცემულ ამასწინანდელ ინტერვიუში განაცხადეთ, ორ წელიწადში საქართველოს ნაკრებს ფუროროს მოხდენა ძალუძსო. დღესაც ამ აზრზე ხართ?**

— რა თქმა უნდა. ქართველი ფეხბურთელების პოტენციაში ღრმად ვარ დარწმუნებული და ამიტომაც ვთქვი ეს. მართალია, დღეს მეორე მწვრთნელი ვარ, მაგრამ, ვიმედოვნებ, ეს თანამდებობა ხელს არ შემიშლის ჩემი უწინდელი ჩანაფიქრის ასრულებაში. უემბლიმდე დიდი დრო აღარ დარჩა. საჭიროა, ახლავე შემოწმდეს ქინქლაძის, არველაძეების, ნემსაძის, ჯამარაულის, შელიას და სხვათა მზადყოფნა. კანდიდატებიც ხომ მრავლად არიან, მათი თამაშების ნახვა აუცილებელია.

**— ნაკრების თქვენეული კანდიდატებიც გყოლებათ შერჩეული.**

— საქართველოში მუდამ იყო და ახლაც არის პერსპექტიულ ფეხბურთელთა სიმრავლე. მე, რაღა თქმა უნდა, სანაკრებოდ შერჩეული მყავს რამდენიმე ფეხბურთელი. პირველ ყოვლისა, ბათუმელები — უჯმაჯურიძე, მაჭუტაძე, შეყილაძე ნამდვილად არიან ყურადღების ღირსნი. მათ გარდა აუცილებლად უნდა გაისინჯნონ კიკნაძე, იაშვილი, კალაძე, აშვეთია და ზაზა ჯანაშია, ესენგეს თასზე ურიგოდ არ გამოიყურებოდნენ ჩალაძე, სილაგაძე და რეხვიაშვილი, ასევე ლატვიაში მოთამაშე გრიშიკაშვილი, რომლის შესახებაც მისი მთავარი მწვრთნელი სერგეი ბოროვსკი საკმაოდ კარგი აზრისაა.

**— გოგა გახოკიძეზე არაფერი გითქვამთ.**

— გახოკიძე ცალკე საუბრის თემაა. იმ რამდენიმე წუთის მანძილზე ყიფიანს ესეც ვუთხარი და ჩვენი აზრები ერთმანეთს დაემთხვა — შეგიძლია, გოგა გახოკიძე ნაკრების წევრად ჩათვალოო. თუმცა არა, ჯერ მხოლოდ კანდიდატია. ვნახოთ, როგორ გამოიჩენს თავს.

**— ყველას აინტერესებს, ეროვნულ ნაკრებში ცოლიანი ფეხბურთელების საქმე როგორ იქნება. თქვენ ხშირად ამასაც გსაყვედურობენ. მართალია, მხოლოდ მეორე მწვრთნელი ხართ, მაგრამ თქვენ სიტყვასაც ექნება ფასი.**

— ამ სიტყვებს ფეხბურთელთა მეუღლეების გასაგონად ვიტყვი: ის მოთამაშეები, რომელთა ცოლებიც მაქსიმალურად შეუწყობენ ხელს მეუღლეებს, ითამაშებენ ნაკრებში. ის ქალბატონები კი, რომლებიც თავიანთ ქმრებზე არასაჭირო ზეგავლენის მოხდენას დააპირებენ, ირიბად რომ ვთქვა, მათსავე საქმეს წაახდენენ.

**— ისევ ალმასკომის ვერდიქტს დავუბრუნდეთ. დღემდე მწვრთნელობაზე ყიფიანი უარს ამბობდა. თქვენ როგორ აფასებთ მის ამგვარ ქმედებას?**

— ამაზე დათოსთან კონკრეტულად ჯერ არ მისაუბრია, მაგრამ, ჩემი აზრით, დღეისათვის ყიფიანი მზად არის საიმისოდ, რომ ეროვნულ ნაკრებს ჩაუდგეს სათავეში. მისი გადაწყვეტილების შეცვლა კი, ალბათ, მაინც ესენგეს ტურნირმა გამოიწვია. საქმე ისაა, რომ ყიფიანმა თავად იხილა უკრაინის, რუსეთის, იგივე ბალტიისპირეთის წამყვან კლუბთა მატჩები, მოკლე დროის მანძილზე ევროპულ ფეხბურთშიც ბევრი საინტერესო მოვლენა მოხდა და, ეტყობა, თავად დარწმუნდა თავის შესაძლებლობებში.

**— გულახდილობით გამოირჩევით და ასეთსავე პასუხს გთხოვთ — ნაწყენი ხართ თუ არა ალმასკომის წევრთა გადაწყვეტილების გამო?**

— ნაწყენი ვარ, აბა, რა. კაცს თავი უკვე მთავარ მწვრთნელად დანიშნული მეგონა. ზემოთ თქმულს გავიმეორებ: ყველაფერს მოველოდი და, ჩემს მთავარ მწვრთნელად არდანიშვნას ვერ წარმოვიდგენდი. ახლა უამრავი ეჭვი მღრღნის. შეიძლება, ალმასკომის წევრებს ჩემი და დათოს მეგობრობა ბოლომდე არც აქვთ გათვითცნობიერებული და ჩვენს შორის უთანხმოების ჩამოგდება სურთ. მაგრამ ეს არ მოხდება. ჩვენი მეგობრობა მტკიცეა და ვერავითარი ალმასკომი ვერ შეძლებს ამის მოშლას. შეიძლება ვცდები კიდეც, ამას რომ ვამბობ, მაგრამ რატომღაც ასე მგონია. და თუ ვინმე ჩემს ეჭვებს გაფანტავს, საპირისპიროს დამიმტკიცებს და დამარწმუნებს, რაც და როგორც მოხდა, ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ გაკეთდაო, მაშინ ხელებს ავწევ, დავნებდები და ბოდიშის მოხდაც არ გამიჭირდება. მე მუდამ ქართული ფეხბურთის მოსიყვარულე ხალხის გვერდით ვიდექი და ამ რწმენით გავაგრძელებ ცხოვრებას.

ძალიან გთხოვ, გამაგებინე, რა დავუშავე ზოგ-ზოგებს, ასე რომ მიმეტებენ. თუკი შევცდი, მზად ვარ პასუხისმგებლობისთვის. თუ არა, დამანებონ თავი, მე ხომ ჩემი პრობლემებიც მრავლად მაქვს და ახლა ერთიც დამიმატეს. მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ ნაკრების წარმატებათა თუ წარუმატებლობათა შემთხვევაში დამსახურებაც და პასუხისმგებლობაც მთავარ მწვრთნელთან ერთად თანაბრად გავიზიარო. ნაწილობრივ კი, მაგრამ მთლიანად? — არასოდეს...

...კიდევ დიდხანს ვისაუბრე „მიხიჩასთან", კაცთან, რომელიც, მავანთა აზრით, მწარედ მოატყუეს, კაცთან, რომელსაც გარეგნულად არაფერი ეტყობა გულნატკენობისა, მაგრამ აშკარა იყო, რეზო ძოძუაშვილი ის „მიხიჩა" აღარ იყო, როგორიც ამ რამდენიმე დღის წინ ვნახე. დამშვიდობებისას კიდევ რამდენიმე სატელეფონო ზარი გაისმა. რეკავდნენ ახლობლები, მეგობრები, გულშემატკივრები და ყველანი ერთსა და იმავეს კითხულობდნენ — რა მოხდა? თავჩაქინდრულ „მიხიჩას" კი პასუხი მზად ჰქონდა: არ ვიცი, თავი დამანებეთ, წადით და ყველაფერი ალმასკომის წევრებს ჰკითხეთო...

**კობა ინასარიძე**

ინტერვიუ ყიფიანთან იხილეთ მეოთხე გვერდზე




ბადრი ქეთილაძის ფოტო

საქართველოს ნაკრების ახალმა მწვრთნელმა პირველი ინტერვიუ „სარბიელს" მისცა

# დავით ყიფიანი: ჩემს საქმეში ცხვირს არავის ჩავაყოფინებ

ფეხბურთის ფედერაციის შენობიდან გამოსულმა დავით ყიფიანმა ფეხბურთელობა გაიხსენა და ყველას პირში ჩალა გამოავლო: მანქანაში ჩახტა და იქაურობას ელვისებურად გაეცალა. მერელა შევიტყვეთ, რომ ჩვენთვის წუთის წინ საქართველოს ნაკრების მწვრთნელს ჩაუვლია... აბა, მერე დაიწყო, თუ დაიწყო — სად გინდოდა, ყიფიანი დაგეჭირა, მით უმეტეს, მეორე დღეს, დილით თურქმენეთში მიფრინავდა „დინამო". რაკილა გუნდს მეც მივყვებოდი, ვიფიქრე, ყიფიანს თვითმფრინავში დაველაპარაკები და ინტერვიუს რედაქციას აშხაბადიდან ფაქსით მივაწვდი-მეთქი, მაგრამ მთავარი რედაქტორის კატეგორიულმა ტონმა მაიძულა, გეგმები შემეცვალა. ასე იყო თუ ისე, ინტერვიუ შედგა. თუ როგორ, ჟურნალისტურ საიდუმლოდ დარჩეს, მთავარი კი ისაა, რომ ეს არის საქართველოს ნაკრების ახალდანიშნული მთავარი მწვრთნელის დავით ყიფიანის პირველი ინტერვიუ. საგანგებოდ „სარბიელისთვის"...

დიახ, ყიფიანი ჩქარობდა, რადგან რამდენიმე საათში უნდა გაფრენილიყო. მეც სულ რამდენიმე წუთი მქონდა სასაუბროდ, ასე რომ, გულშემატკივართა ინტერესს სრულად ვერ დავაკმაყოფილებ, თუმცა ყველანაირად ვცდილობდი, ეს რამდენიმე წუთი მაქსიმალურად გამომეყენებინა. თან იმასაც ვფიქრობდი, ინტერვიუს გზად აშხაბადისკენ, თვითმფრინავში გავაგრძელებ-მეთქი, მაგრამ...

— მოსკოვში მივფრინავ. გადავწყვიტე, რადაც უნდა დამიჯდეს, 12 თებერვალს ლონდონში ვიყო და ინგლის — იტალიას ცოცხლად ვუყურო.

**— ეს როდის გადაწყვიტეთ?**

— როგორც კი მწვრთნელად დამნიშნეს.

**— როგორ შეხვდნენ ამ წინადადებას?**

— ახალკაცმა მითხრა, წასვლა რა საჭიროა, ზედმეტი ხარჯია, ტელევიზორით უყურე თამაშსო, მაგრამ განა ტელევიზორში დაინახავ ყველაფერს? თუკი გინდა, მეტოქის თამაში სერიოზულად შეაფასო, თამაშს ტრიბუნიდან უნდა უყურო. იმავწუთს დავტრიალდი და ჩემი სახსრებით, ჩემი მეგობრების დახმარებით, ჩემი არხებით, გადარეკვ-გადმორეკვებით საქმე მოვაგვარე. ამის შემდეგ შევატყობინე ფედერაციას, ოფიციალური ცნობა გაეგზავნა ლონდონში, რომ ბილეთის პრობლემა არ მქონოდა. მოკლედ, რამდენიმე საათში მოსკოვში მივფრინავ. იქ ჩემი მეგობარი ანზორ კიკალიშვილი დამხვდება, ორშაბათ დილას ბრიტანეთის საელჩოში უნდა გავარკვიოთ ყველაფერი, რადგან დრო აღარ ითმენს. მე ის მიკვირს, აქამდე რომ არ უზრუნია ვინმეს, წინასწარ მოეგვარებინა ეს ფორმალობები, რათა ნაკრების მწვრთნელს, ვინც არ უნდა ყოფილიყო, პრობლემები არ შექმნოდა. განა შეიძლება, ორთვენახევარში ინგლისთან თამაში გქონდეს და 12 თებერვლის მატჩი გააცდინო? ფეხით წავიდოდი და ამ მატჩს მაინც ვნახავდი... ამ სიჩქარეში სულ დამავიწყდა მეთქვა, რომ ინგლისს მე და რევაზ ძოძუაშვილი ერთად მივფრინავთ — რადგან ერთად მოვკიდეთ საქმეს ხელი, ერთადვე უნდა ვიყოთ.

**— ახლა ყველაზე საინტერესოზე — როგორ დაინიშნეთ ნაკრების მთავარ მწვრთნელად. ბოლო წუთამდე ყველას ეგონა, რომ ყიფიანი უარზეა და ძოძუაშვილს ნიშნავენო...**

— ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია ამის თაობაზე და ალბათ კარგად გახსოვთ, რატომ ვამბობდი უარს ნაკრების მთავარ მწვრთნელობაზე. მე ვთვლი, რომ ნაკრები მარტო ფედერაციის კუთვნილება არ უნდა იყოს, ნაკრები მთელი საქართველოს ფეხბურთის სარკეა. მის შექმნაზე, ჩამოყალიბებაზე, ამხანაგურ თამაშებზე და სხვა უამრავ პრობლემაზე საქართველოს მთავრობამაც უნდა იზრუნოს. მე ვერ ვხედავდი მსგავს მიდგომას ფედერაციის მხრიდან. არაერთხელ ვესაუბრე ახალკაცს ამის თაობაზე და ვუთხარი, რომ თუ დავთანხმდები, მხოლოდ იმ პირობით, რომ ნაკრების მომზადება საერთო-სახალხო საქმე გახდეს. ჩვენ ხალხს არაფერი უნდა დავუმალოთ, რადგან ნაკრები მათია. ახალკაცი ბოლო დღემდე არ თანხმდებოდა ამას, ამიტომაც ვიყავი უარზე. მერე, არ ვიცი, რა შეიცვალა, ახალკაცი დათანხმდა ჩემს ყველა, ვიმეორებ, ყველა წამოყენებულ პირობას და მეც თანხმობა განვაცხადე.

**— კიდევ რა პირობები წაუყენეთ?**

— ნაკრების გარდა „დინამოშიც" დარჩენა, ამხანაგური მატჩების მოწყობა, ნაკრების მომზადებაში სამთავრობო სტრუქტურების ჩართვა, ჩემი „გუნდის" მთლიანად ჩემი მოსაზრებით დაკომპლექტება, ჩვენს მეტოქეთა თამაშებზე უპირობოდ დასწრება... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მოკლედ, „დინამოში" ჩემი მუშაობის სტილი იცით — გუნდის მზადებაში ცხვირს არავის ჩავაყოფინებ. ასევე იქნება ნაკრებშიც — ჩემს საქმეში ვერავინ ჩაერევა!

**— თუ მოასწარით შეხვედრა მთავრობასთან?**

— ჯერ არ მქონია, მაგრამ თვის ბოლოს აუცილებლად შევხვდები. ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით მალე ოფიციალური შეხვედრა მომზადდება და ქვეყნის პრეზიდენტს შევხვდები. ეს თავად ბატონი ედუარდის თაოსნობაა. მისი ფეხბურთისადმი დამოკიდებულება ხომ საყოველთაოდაა ცნობილი.

**— აღმასკომის წევრები როგორ შეხვდნენ თქვენს დანიშვნას?**

— ყველა თანახმა იყო. ვუთხარი — რა უნდა გითხრათ, ხომ ხედავთ, თავი ყულფში გამაყოფინეთ-მეთქი. ახალკაცმა ყველას დაავალა ჩემი დახმარება: ზოგი მთავრობაში ხართ, ზოგი ფინანსებში, ზოგიც — პოლიციაში, კეთილი ინებეთ და მიდექ-მოდექითო.

**— ძოძუაშვილის კანდიდატურა მათ შემოგთავაზეს თუ თავად აირჩიეთ?**

— ფორმალურად, მათ შემომთავაზეს, მაგრამ მე უკეთესს ვერავის ვნახავდი. ეს ის მომენტია, როცა ჩვენი აზრები დაემთხვა. რეზო საქმიანი კაცია, ფეხბურთი იცის, წლების მანძილზე ერთადაც გვიმუშავია და მისი მუშაობით ყოველთვის კმაყოფილი ვიყავი. რეზოსნაირი უღალატო კაცი სანთლითაა საძებნელი. ახლა ინგლისისკენ გზაზე დრო გვექნება და ბევრზეც მოვილაპარაკებთ. საფიქრალი და საზრუნავი ათასი გვაქვს.

**— ოფიციალური კონტრაქტი თუ გაფორმდა?**

— არა. ვთქვი, ამ ციკლს ჩავამთავრებ და თუ ჩემი მუშაობა დაგაკმაყოფილებთ, კონტრაქტზე მერე ვილაპარაკოთ-მეთქი.

**— ხელფასი თუ დაგინიშნეს?**

— არა, ჯერ ამაზე არ გვილაპარაკია. ის თანხა, რასაც ისინი ჩივაძეს აძლევდნენ, სასაცილო და სიმბოლური იყო. ისე, როცა ამხელა საქმეს ეჭიდები, ხელფასი რა სახსენებელია.

**— ძოძუაშვილი თქვენს გვერდითაა. კიდევ ვისით აპირებთ თქვენი „გუნდის" დაკომპლექტებას?**

— მე ძმაკაცობა კარგი ვიცი. გაიკითხეთ თბილისში, რა ძმაკაცები მყავს და როგორ ვუდგავარ გვერდში, მაგრამ ნაკრები სხვა რამაა — აქ ძმაკაცობა გამორიცხულია. გვერდში იმას დავიყენებ, ვინც საქმეს გამიკეთებს, ძმაკაცობა — ნაკრების გარეთ. მართალი გითხრათ, ჯერ არ გადამიწყვეტია. რეზოს გარდა ვის ამოვიყენებ გვერდში, ამასაც რეზოსთან ერთად ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ გადავწყვეტ...

**— მაშ, „დინამოშიც" რჩებით...**

— „დინამო" ხომ მისახედია? თუ აქამდე დასვენების დრო მაინც მქონდა, ახლა მორჩა — 24 საათიდან 10 „დინამოსია" და 14 ნაკრების.

**— თურქმენეთში რომ უთქვენოდ წავლენ?**

— ინგლის — იტალიის მატჩის მერე, 13 თებერვალს დილით გამოვფრინდები მოსკოვში, შვიდ საათზე კი აშხაბადის თვითმფრინავში ჩავჯდები და ცამეტშივე საღამოს აშხაბადში ვიქნები. ჩვენ პირველი მატჩი 11-ში გვაქვს, მეორე — 13-ში. გუნდს აკობია გამოიყვანს და მერე მეც ჩავუსწრებ.

**— პრესასთან როგორი ურთიერთობა გექნებათ?**

— განა ოდესმე რომელიმე ჟურნალისტს ჩემთან ან ჩემს გუნდთან პრობლემა ჰქონია? იგივე იქნება ახლაც. მე თქვენთან დასამალი არაფერი მაქვს.

**— ნაკრების ვარჯიშებს თუ დაგვასწრებთ?**

— რა თქმა უნდა, არავითარი პრობლემა.

**— თამაშების მერეც შეგვხვდებით?**

— აუცილებლად. ის კი არა, ერთ აზრს შემოგთავაზებთ: მოდით, ყოველ თვეში ერთხელ მოვაწყოთ შეხვედრა და მე ჩემი საქმიანობის შედეგებს მოგახსენებთ. ვიმეორებ, მე ჟურნალისტებთან დასამალი არაფერი მექნება.

**— მაშ რატომ აარიდეთ თავი ყველას და ფედერაციის კარებიდან პირდაპირ მანქანას მიაშურეთ?**

— იცით რა, ჟურნალისტები სპრინტერებივით ხართ. რამდენიმე წუთის დანიშნულს რა უნდა მეთქვა? უამრავი სამუშაო მაქვს. სანამ გეგმას ჩამოვაყალიბებ, ყველაფერი უნდა ავწონ-დავწონო, ნაკრების დოკუმენტაცია ვნახო, ჩემი „გუნდი" შევკრა, გავვარდ-გამოვვარდე, ვიმუშაო. აი, მაშინ ექნება ჩვენს შეხვედრას ფასი და ყველა ჟურნალისტი ამომწურავ ინფორმაციას მიიღებს.

**— როდის გვპირდებით ამ შეხვედრას?**

— 25 თებერვალს ახალკაცს ჩემი გეგმა უნდა წარვუდგინო. თუ გნებავთ, მეორე დღეს მოვაწყოთ პრესკონფერენცია. გეგმასაც გაგაცნობთ და სხვა საინტერესო საკითხებზეც ვისაუბროთ.

ერთია კიდევ და ამის თაობაზე წინასწარ გაფრთხილებთ: ინტერვიუზე უარს მე არავის ვეტყვი, მაგრამ ნაკრების წევრებთან შეკრების დროს საუბარი მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ნებართვის შემდეგ მოხდება. სწორად გამიგეთ, აქ უკონტროლობა არ შეიძლება. ისე არ უნდა მოხდეს, რომ ოლონდ რამე დაწეროს და ჟურნალისტმა ყველაფერი იკადროს. მე მინდა, რომ ჩვენ ვითანამშრომლოთ, საერთო საქმე ერთად ვაკეთოთ და რაკილა ეს მძიმე საქმე ვიტვირთე, მოდით, თავზე ნუ გადამახტებით. ვიმეორებ, პრობლემა არ გექნებათ, მაგრამ საერთო საქმის სასიკეთოდ ვიმოქმედოთ... ვიმეორებ, დასამალი არავისთან არაფერი მაქვს...

...ნამუსიც კარგი საქონელია-მეთქი და, მეც დროებით შევწყვიტე ბატონ დავითთან საუბარი, რაკილა მოსკოვის და აშხაბადის ავიარეისებამდე რამდენიმე საათიღა იყო დარჩენილი. დანარჩენს კი თურქმენეთიდან შეგატყობინებთ, როცა ყიფიანი ჩამოვა...

**მამუკა კვარაცხელია**

# რეზო უცხოელთა ნაკრებში

გავიგეთ თუ არა, ბელგიელმა ჟურნალისტებმა რეზო არველაძე უცხოელ ლეგიონერთა ნაკრებში შეიყვანესო, უმალ შევეხმიანეთ ბელგიელი კოლეგების რჩეულ ჩვენებურს...

— რამდენიმე დღეში ამხანაგური მატჩი უნდა გაიმართოს, ბელგიის ნაკრების კანდიდატების გუნდი ბელგიაში მოთამაშე ლეგიონერთა გუნდს შეხვდება. სწორედ ამ გუნდში ვარ გამოძახებული, მაგრამ ალბათ ვერ ვითამაშებ, რადგან ახლახან ფეხი ვიტკინე და რაკილა მალე მეტად მნიშვნელოვანი მატჩი გვიწევს „სერკლ ბრიუგესთან", მწვრთნელმა მთხოვა, იმ ამხანაგურისგან თავი შეიკავე, თუ ამათ მოვუგეთ, ცხრილის შუაგულში ვმკვიდრდებითო...

**— შენს გარდა, კიდევ ვინ დაასახელეს ლეგიონერთა ნაკრებში?**

— შვედი ზეტებერგი, ხორვატი შტეხაი, „აიაქსის" ყოფილი მეკარე მენცო... სხვები აღარ მახსოვს. ძალიან დამწყდება გული, თუ ამ მატჩში ვერ ვითამაშებ. ნატკენი ფეხის გამო ყოველდღე მეხელენიდან 80 კილომეტრით დაშორებულ ლიეჟში დავდივარ საუკეთესო ექიმთან. წესით, სამშაბათს უნდა ვივარჯიშო, ოთხშაბათს ის მატჩია, შაბათს კი „სერკლ ბრიუგეს" ვხვდებით. ბოლო ტურში მესამე ადგილზე მყოფ „ჰარელბეკს" 2:1 მოვუგეთ და, ეტყობა, ფორმაში შევდივართ...

**— ძმებისა რა იცი?**

— ბოლო ტურში, როგორც იქნა, აჩიკოს ნავსი გაუტეხია და გოლი შეუგდია, მანამდე კი სამი საგოლე პასი მიუცია. „ტრაბზონი" თასის ნახევარფინალში გავიდა, „გალათასარაი" ორი ქულით უსწრებს და ერთი თამაშიც ნაკლები აქვს. მოკლედ, ჩემპიონობისა და თასისთვის ბრძოლას აგრძელებენ...

**მამუკა კვარაცხელია**

# გოგიჩაიშვილიც ცესკაში?

ახლახან იყო, „დინამოსა" და საქართველოს ნაკრების წევრმა კახი გოგიჩაიშვილმა რომ შემოგვჩივლა, ნორმალურ გუნდში თამაში როგორ არ მინდა, მაგრამ კვიპროსის აელზე რეალური წინადადებით სხვას არავის მოუმართავსო. როგორც ჩანს, ბედი არც ისე უმოწყალოა გოგიჩაიშვილის მიმართ, რადგან ამ ცოტა ხნის წინ კახა აელზე გაცილებით კარგ გუნდში, მოსკოვის ცესკაში მიუწვევიათ. ეს მან თავად გვაცნობა: „არც კი ვიცოდი, რომ მოსკოვში ყოფნისას მერაბ ჟორდანიას და დავით ყიფიანს ცესკას ხელმძღვანელობასთან უსაუბრიათ ჩემს შესაძლო გადასვლაზე. შემდეგ სადირინი თავად შემეხმიანა, მითხრა, ისრაელის შეკრებაზე წამოგვყევიო. იქ რა თქმა უნდა, საკონტროლო შეხვედრებს მართავენ, მე კი ავადმყოფობის შემდეგ ჯერ არ აღმიდგენია ფორმა და იქ წასვლის უფლებას თავს ვერ მივცემ. მირჩევნია, „დინამოს" თურქმენეთში გავყვე, ფორმა სრულად აღვიდგინო და მხოლოდ ამის მერე წავიდე მოსკოვში".

რაც შეეხება ცესკაში უკვე გადასულ კიდევ ერთ დინამოელს, ნუგზარ ლობჟანიძეს, მან კვიპროსის შეკრებაზე პოლონეთის ჩემპიონ „ლეგიასთან" ითამაშა (არმიელები დამარცხდნენ 0:2). მეორე ტაიმში არმიელთა მთავარმა მწვრთნელმა პაველ სადირინმა ექვსი ფეხბურთელი შეცვალა, ლობჟანიძემ კი ბოლომდე ითამაშა.

# კუდინოვმა გადაწყვიტა...

...სოჭის „ჟემჩუჟინაში" გადასვლა. ამის თაობაზე დიმას ზღვისპირელთა მთავარ მწვრთნელ არსენ ნაიდენოვთან უსაუბრია კიდეც. სატელეფონო საუბრისას (კუდინოვი ხოჭში ჯერ არ ჩასულა) „ჟემჩუჟინას" თავკაცს ორწლიანი კონტრაქტი შეუთავაზებია. ეს ყოველივე ბუნებრივია, იურიდიულად ჯერ არ გაფორმებულა, თუმცა დიმას წინასწარი თანხმობა განუცხადებია.

## „დინამო“ წაგებით იწყებს

ყოფიანის გარეშე თურქმენეთის ტურნირზე ჩასულმა თბილისის „დინამომ“ გუშინ პირველი შეხვედრა ყაზახეთის „ელიმაისთან“ 0:1 წააგო. გოლი ზოიძის კარში მეხუთე წუთზევე გაიდა ყაზახთა ლეგიონერის, 26 წლის ბრაზილიელი კარლოსის დარტყმის შემდეგ. როგორც ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა მამუკა კვარაცხელიამ გვაცნობა, ჩვენს ჩემპიონს 90 წუთის მანძილზე მეტოქის კარის მიმართულებით ერთხელაც არ დაურტყამს, „ელიმაის“ კი კიდევ ხუთი საგოლე მომენტი გასცუდებია. „დინამომ“ ეს მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: ზოიძე, კალაძე, ჯელაძე, დიდავა, კიკნაძე, ცქიტიშვილი, ჩხაიძე (დიმიტრიშვილი 70), მუჯირი (მაჭავარიანი 76), კერძევაძე, დემეტრაძე (ზამთარაძე 46), ხომერიკი (ყიზილაშვილი 30).

ხვალ ჩვენები ბელარუსის „ატაკას“ შეხვდებიან, 14 თებერვალს კი მათი მეტოქე პოლტავის „ვორსკლა“ იქნება.

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი

## რადგან ქინქლაძეაო?

„მანჩესტერ სიტიმ“ გააგრძელა წარმატებათა სერია და შაბათს მასზე ქვემოთ მყოფი „საუთენდი“ გაანადგურა 3:0. შვიდი მატჩია, რაც გუნდს ფრენკ კლარკი წვრთნის და ჯერ „სიტის“ არ წაუგია, მაგრამ მეტიც ვთქვათ — სამი მატჩია, „სიტის“ თამაშს გიო ქინქლაძის მამა, და და ბესო კირვალიძე ესწრებიან და არცერთში „სიტის“ სამზე ნაკლები გოლი არ გაუტანია. ბატონი რობიზონი და ბესო გუშინ თბილისში წამოვიდნენ, ამიტომ, რას იზამს „სიტი“ შაბათს „მიდლსბროსთან“, ძნელი სავარაუდოა.

ეს, ცხადია, ხუმრობით. გასულ შაბათს კი „მეინ როუდზე“ მეტად სერიოზული ამბები დატრიალდა. თუმცა ჯერ მეორე ტაიმისა ვქთვათ, როცა უპირატესად ქინქლაძის ბრწყინვალე თამაშის წყალობით „საუთენდის“ კარში სამი ბურთი შევარდა. ჯერ როსლერმა გაიტანა, მერე თავად გიომ, როცა საჯარიმოში მარცხნიდან შესულმა დრიბლინგს მომლოდინე მცველებს იმედი გაუცრუა და პირდაპირ შორეულ კუთხეში დაარტყა, და ბოლოს, გიომ ოთხი მცველი მოატყუა და როსლერს გაატანინა. მატჩის მერე „საუთენდის“ გაცოფებულმა მწვრთნელმა ესღა თქვა: „თამაში მსაჯმა წამაგებინა — გაეძევებინა პირველ ტაიმში ქართველი და ვნახავდი, მეორეში მის გარეშე რისი მაქნისები იყვნენ.“ საქმე ისაა, რომ პირველ ტაიმში, გიოს მორიგი წაქცევის შემდეგ, წამქცევს ჩვენებურის ხელი მოხვდა სახეში, მაგრამ ეს უნებლიედ მოხდა თუ განზრახ, კამათი ამან გამოიწვია. მსაჯმა გიოს მხარე დაიჭირა და არც კი გააფრთხილა, სტუმართა თავკაცებმა კი იმდენი იჩხუბეს, სანამ მათი სკამი მსაჯმა მთავარი მწვრთნელის ამარა არ დატოვა — დანარჩენები გააძევა.

**სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ჩარლტონი — ტრანმერი 3:1, სტოკ სიტი — ოქსფორდი 2:1, სიტი — საუთენდი 3:0, ბარნსლი — პორტ ვეილი 1:0, ბირმინგემი — პორტსმუთი 0:3, კრისტალ პალასი — ბრედფორდი 3:1, ჰადერსფილდი — ვულვერჰემპტონი 0:2, იფსვიჩი — ქუინზ პარკი 2:0, ოლდემი — გრიმსბი 0:3, რედინგი — ბოლტონი 3:2, ვესტ ბრომვიჩი — სვინდონი 1:2, შეფილდი — ნორვიჩი 2:3.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 32 | 18 | 10 | 4 | 67:42 | 64 |
| ვულვზი | 31 | 16 | 7 | 8 | 44:28 | 55 |
| ბარნსლი | 30 | 15 | 9 | 6 | 51:35 | 54 |
| შეფილდი | 31 | 14 | 8 | 9 | 52:36 | 50 |
| ნორვიჩი | 31 | 14 | 7 | 10 | 44:44 | 49 |
| კრისტალ პალ. | 30 | 12 | 10 | 8 | 56:33 | 46 |
| სტოკ სიტი | 30 | 13 | 7 | 10 | 39:41 | 46 |
| პორტსმუთი | 32 | 13 | 6 | 13 | 38:37 | 45 |
| იფსვიჩი | 31 | 11 | 11 | 9 | 43:39 | 44 |
| სვინდონი | 32 | 12 | 7 | 13 | 48:44 | 43 |
| პორტ ვეილი | 32 | 10 | 13 | 9 | 38:36 | 43 |
| ტრანმერი | 31 | 12 | 7 | 12 | 43:42 | 43 |
| ქუინზ პარკი | 32 | 11 | 10 | 11 | 44:45 | 43 |
| ოქსფორდი | 31 | 11 | 7 | 13 | 43:40 | 40 |
| ჰადერსფილდი | 32 | 10 | 10 | 12 | 37:44 | 40 |
| ვესტ ბრომვიჩი | 32 | 8 | 14 | 10 | 50:56 | 38 |
| ჩარლტონი | 30 | 11 | 5 | 14 | 33:41 | 38 |
| ბირმინგემი | 29 | 9 | 10 | 10 | 32:33 | 37 |
| რედინგი | 31 | 9 | 10 | 12 | 40:48 | 37 |
| სიტი | 30 | 10 | 5 | 15 | 36:43 | 35 |
| ბრედფორდი | 32 | 7 | 10 | 16 | 30:49 | 31 |
| გრიმსბი | 30 | 7 | 9 | 14 | 38:53 | 30 |
| საუთენდი | 31 | 6 | 11 | 14 | 28:55 | 29 |
| ოლდემი | 29 | 6 | 10 | 13 | 30:38 | 28 |

## ესპანეთი

### XXII ტური

**სოსიედადი 0:1 ვალენსია**

0:1 კარპინი (6)

**ესპანიოლი 2:0 ბარსელონა**

1:0 რადუჩოუ (14პ), 2:0 რადუჩოუ (50 პ)

**ტენერიფე 2:0 ლოგრონიესი**

1:0 იოკანოვიჩი (74პ), 2:0 ლორენტე (78)

**ატლეტიკო 4:1 კომპოსტელა**

0:1 მაურო გარსია (29), 1:1 კამინერო (33), 2:1 ბეიბლი (38), 3:1 ესნაიდერი (55), 4:1 ესნაიდერი (68პ)

**სარაგოსა 2:1 სევილია**

1:0 პიგუერა (26), 1:1 რამისი (56), 2:1 კილი გონსალესი (80)

**რასინგი 2:0 სპორტინგი**

1:0 ბესჩასტნისი (14), 2:0 ტორე (83)

**ოვიედო 1:1 ვალიადოლიდი**

0:1 სოტო (18), 1:1 მაკედა (60)

**რაიო 1:1 ბილბაო**

1:0 მორო (16), 1:1 ურსაისი (71)

**ბეტისი 3:1 ესტრემადურა**

1:0 ალფონსო (67), 2:0 ფინიდი (72), 2:1 დური (81), 3:1 პიერი (83)

**ერკულესი 2:3 რეალი**

1:0 ალფარო (6), 1:1 მიატოვიჩი (12), 1:2 ზეედორფი (19), 2:2 მილიანოვიჩი (34), 2:3 რაული (54)

**დეპორტივო 2:2 სელტა**

0:1 სანჩესი (20), 1:1 რივალდო (40), 2:1 რეინალდო (55), 2:2 მოსტოვოი (64)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 23 | 16 | 7 | 0 | 49:18 | 55 |
| ბარსელონა | 23 | 14 | 5 | 4 | 62:30 | 47 |
| ბეტისი | 22 | 13 | 6 | 3 | 48:21 | 45 |
| დეპორტივო | 23 | 10 | 10 | 3 | 32:18 | 40 |
| სოსიედადი | 23 | 12 | 4 | 7 | 33:26 | 40 |
| ატლეტიკო | 22 | 11 | 6 | 5 | 44:29 | 39 |
| ვალიადოლიდი | 23 | 9 | 7 | 7 | 30:26 | 34 |
| რასინგი | 23 | 8 | 10 | 5 | 25:22 | 34 |
| ტენერიფე | 22 | 9 | 6 | 7 | 37:23 | 33 |
| ბილბაო | 23 | 8 | 9 | 6 | 39:32 | 33 |
| ვალენსია | 23 | 9 | 5 | 9 | 31:29 | 32 |
| ოვიედო | 23 | 7 | 7 | 9 | 29:30 | 28 |
| ესპანიოლი | 23 | 7 | 5 | 15 | 28:33 | 26 |
| სელტა | 23 | 6 | 8 | 9 | 24:31 | 26 |
| სპორტინგი | 22 | 6 | 7 | 9 | 23:31 | 25 |
| რაიო | 22 | 6 | 6 | 10 | 24:33 | 24 |
| კომპოსტელა | 23 | 6 | 6 | 11 | 22:42 | 24 |
| სარაგოსა | 23 | 4 | 9 | 10 | 25:39 | 21 |
| ლოგრონიესი | 23 | 6 | 3 | 14 | 17:48 | 21 |
| ერკულესი | 23 | 5 | 4 | 14 | 21:43 | 19 |
| სევილია | 22 | 5 | 3 | 14 | 18:33 | 18 |
| ესტრემადურა | 23 | 3 | 7 | 13 | 14:38 | 16 |

უელსელი ჯონ ტოშაკი გადადგა „დეპორტივოს“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან. კვირას „დეპორტივომ“ შინ 2:2 ითამაშა „სელტასთან“, რაც მწვრთნელს თანამდებობის დატოვებად დაუჯდა. კლუბის თავმჯდომარემ აუგუსტო ლენდოირომ განაცხადა, რომ ტოშაკი ერთი კვირის წინ გადადგა, თუმცა ოფიციალურად ეს მხოლოდ კვირას გამოცხადდაო. 1995 წლის შემდეგ, რაც ტოშაკი კლუბში მივიდა, მას მუდმივი კონფლიქტები ჰქონდა გულშემატკივრებთან, ფეხბურთელებთან და ხელმძღვანელებთან. „დეპორტივოს“ ახლა მეორე დივიზიონის ერთ-ერთ კლუბის მწვრთნელი ხოსე მანუელ კორალი გაწვრთნის.

## პორტუგალია

**მე-19 ტური: ლეცა — შავეში 3:2, ბენფიკა — ჟილ ვისენტე 1:0, გიმარაეში — სეტუბალი 3:0, პორტუ — ლეირია 2:0, მარიტიმუ — სალგეირუში 3:1, რიუავე — ამადორა 2:0, ფარენსე — სპორტინგი 0:0, ესპინიუ — ბოავიშტა 0:0, ბელენენსეში — ბრაგა 1:2.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 19 | 17 | 2 | 0 | 46:8 | 53 |
| სპორტინგი | 19 | 11 | 5 | 3 | 29:10 | 38 |
| ბენფიკა | 19 | 11 | 4 | 4 | 33:12 | 37 |
| ბრაგა | 19 | 8 | 6 | 5 | 24:28 | 30 |
| ამადორა | 19 | 8 | 5 | 6 | 23:19 | 29 |
| გიმარაეში | 19 | 8 | 4 | 7 | 28:24 | 28 |
| ესპინიუ | 19 | 8 | 4 | 7 | 19:24 | 28 |
| შავეში | 19 | 7 | 6 | 6 | 22:25 | 27 |
| სეტუბალი | 19 | 6 | 7 | 6 | 23:25 | 25 |
| ლეცა | 19 | 6 | 5 | 8 | 23:25 | 23 |
| მარიტიმუ | 19 | 6 | 5 | 8 | 23:29 | 23 |
| ფარენსე | 19 | 5 | 7 | 7 | 15:18 | 22 |
| სალგეირუში | 19 | 5 | 7 | 7 | 24:30 | 22 |
| ბოავიშტა | 19 | 4 | 9 | 6 | 25:25 | 21 |
| ბელენენსეში | 19 | 5 | 6 | 7 | 24:34 | 21 |
| ლეირია | 19 | 4 | 4 | 11 | 13:29 | 16 |
| რიუ ავე | 19 | 3 | 4 | 12 | 20:31 | 13 |
| ჟილ ვისენტე | 19 | 2 | 4 | 13 | 17:35 | 10 |

## შოტლანდია

**26-ე ტური: სელტიკი — რეით როვერსი 2:0, დანდი იუნაიტედი — ჰიბერნიანი 0:0, დანფერმლაინი — რეინჯერსი 0:3, ჰარტსი — კილმარნოკი 2:0, მოზერველი — აბერდინი 2:2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 26 | 20 | 4 | 2 | 66:21 | 64 |
| სელტიკი | 25 | 17 | 3 | 5 | 62:25 | 54 |
| დანდი იუნაი. | 26 | 12 | 7 | 7 | 34:21 | 43 |
| ჰარტსი | 26 | 10 | 7 | 9 | 37:35 | 37 |
| აბერდინი | 26 | 9 | 8 | 9 | 38:41 | 35 |
| დანფერმლაინი | 25 | 9 | 5 | 11 | 38:50 | 32 |
| ჰიბერნიანი | 26 | 6 | 7 | 13 | 26:43 | 25 |
| კილმარნოკი | 25 | 7 | 3 | 15 | 29:48 | 24 |
| მოზერველი | 25 | 5 | 7 | 13 | 26:47 | 22 |
| რეით როვერსი | 26 | 5 | 5 | 16 | 21:46 | 20 |

## ბელგია

**22-ე ტური: ანტვერპენი — მუსკრონი 1:2, სტანდარდი — ბრიუგე 1:3, ლიერსი — მეხელენი 4:2, სერკლ ბრიუგე — ანდერლეხტი 0:3, გენტი — ლომელი 2:1, გენკი — ეკერენი 3:1, სენტ ტრიუდენი — შარლერუა 2:0, მოლენბეკი — ლოკერენი 0:1, ჰარელბეკი — აალსტი 0:1.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მუსკრონი | 22 | 13 | 7 | 2 | 40:19 | 46 |
| ბრიუგე | 22 | 13 | 4 | 5 | 44:27 | 43 |
| ლიერსი | 22 | 11 | 9 | 2 | 37:22 | 42 |
| ანდერლეხტი | 21 | 10 | 8 | 3 | 34:14 | 38 |
| ჰარელბეკი | 22 | 11 | 4 | 7 | 36:24 | 37 |
| სტანდარდი | 22 | 11 | 2 | 9 | 37:31 | 35 |
| ანტვერპენი | 22 | 11 | 2 | 9 | 34:33 | 35 |
| ლომელი | 21 | 9 | 5 | 7 | 31:33 | 32 |
| გენკი | 22 | 7 | 8 | 7 | 28:28 | 29 |
| გენტი | 22 | 8 | 4 | 10 | 34:40 | 28 |
| ლოკერენი | 22 | 7 | 6 | 9 | 31:34 | 27 |
| მოლენბეკი | 22 | 7 | 5 | 10 | 23:29 | 26 |
| შარლერუა | 22 | 6 | 5 | 11 | 26:32 | 23 |
| აალსტი | 22 | 5 | 8 | 9 | 27:37 | 23 |
| მეხელენი | 22 | 5 | 8 | 9 | 24:34 | 23 |
| სტ. ტრიუდენი | 22 | 5 | 6 | 11 | 30:43 | 21 |
| ეკერენი | 22 | 5 | 5 | 12 | 26:38 | 20 |
| სერკლ ბრიუგე | 22 | 2 | 6 | 14 | 23:48 | 12 |

## თურქეთი

**21-ე ტური: ტრაბზონსპორი — ზეითუნბურნუ 6:1, სარიერი — ალთაი 0:0, ქოჯაელი — ბეშიქთაში 0:0, გენჩლერბირლიგი — სამსუნი 3:1, დარდანელი — გაზიანთეპი 1:1, ბურსა — ანკარაგიუჯიუ 2:1, ისტანბული — დენიზლი 5:0, ანთალია — ვანსპორი 1:0, ფენერბაჰჩე — გალათასარაი 3:2.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 21 | 14 | 5 | 2 | 53:19 | 47 |
| ფენერბაჰჩე | 21 | 14 | 5 | 2 | 41:13 | 47 |
| ტრაბზონი | 21 | 14 | 3 | 4 | 40:21 | 45 |
| ბეშიქთაში | 21 | 12 | 7 | 2 | 48:14 | 43 |
| ბურსა | 21 | 11 | 5 | 5 | 32:20 | 38 |
| გაზიანთეპი | 21 | 10 | 7 | 4 | 24:18 | 37 |
| ქოჯაელი | 21 | 8 | 7 | 6 | 22:19 | 31 |
| გენჩლერბირ. | 21 | 9 | 4 | 8 | 27:25 | 31 |
| სარიერი | 21 | 8 | 4 | 9 | 32:28 | 28 |
| ისტანბული | 21 | 7 | 5 | 9 | 27:28 | 26 |
| ანთალია | 21 | 7 | 5 | 9 | 24:27 | 26 |
| სამსუნი | 21 | 6 | 6 | 9 | 24:35 | 24 |
| ანკარაგიუჯიუ | 21 | 6 | 4 | 11 | 22:31 | 22 |
| ალთაი | 21 | 5 | 7 | 9 | 18:36 | 22 |
| დარდანელი | 21 | 4 | 6 | 11 | 17:37 | 18 |
| ვანსპორი | 21 | 3 | 5 | 13 | 15:34 | 14 |
| დენიზლი | 21 | 3 | 3 | 15 | 21:46 | 12 |
| ზეითუნბურნუ | 21 | 2 | 4 | 15 | 18:54 | 10 |

## იტალია

### სერია B

**21-ე ტური. ბარი — კოზენცა 1:0, დი სანგრო — ფოჯა 1:3, კიევო — ლუკეზე 1:0, ჯენოა — კრემონეზე 3:0, პადოვა — ლეჩე 0:0, პალერმო — ბრეშია 3:2, რავენა — პესკარა 0:1, რეჯინა — ჩეზენა 0:1, სალერნიტანა — ემპოლი 1:1, ტორინო — ვენეცია 1:1.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეჩე | 21 | 11 | 6 | 4 | 34:25 | 39 |
| პესკარა | 21 | 10 | 7 | 4 | 29:18 | 37 |
| ტორინო | 21 | 10 | 6 | 5 | 32:22 | 36 |
| ბრეშია | 21 | 9 | 7 | 5 | 25:21 | 34 |
| ბარი | 21 | 7 | 11 | 3 | 28:18 | 32 |
| ჯენოა | 21 | 7 | 10 | 4 | 31:16 | 31 |
| ემპოლი | 21 | 8 | 7 | 6 | 23:22 | 31 |
| რავენა | 21 | 8 | 7 | 6 | 23:23 | 31 |
| ფოჯა | 21 | 8 | 6 | 7 | 24:25 | 30 |
| კიევო | 21 | 5 | 11 | 5 | 20:20 | 26 |
| პადოვა | 21 | 5 | 10 | 6 | 22:26 | 25 |
| ლუკეზე | 21 | 5 | 9 | 7 | 16:19 | 24 |
| ვენეცია | 21 | 5 | 8 | 8 | 24:24 | 23 |
| პალერმო | 21 | 4 | 11 | 6 | 23:27 | 23 |
| რეჯინა | 21 | 5 | 8 | 8 | 20:24 | 23 |
| ჩეზენა | 21 | 4 | 10 | 7 | 17:20 | 22 |
| კოზენცა | 21 | 5 | 7 | 9 | 22:28 | 22 |
| სალერნიტანა | 21 | 5 | 7 | 9 | 11:22 | 22 |
| დი სანგრო | 21 | 5 | 5 | 11 | 12:26 | 20 |
| კრემონეზე | 21 | 4 | 7 | 10 | 12:22 | 19 |

## მალდინი შეტევას აპირებს, ჰოდლი — მოგებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ „უემბლი“ ევროპელთა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ თამაშთაგან ერთ უმთავრესს — ინგლის-იტალიას უმასპინძლებს. ჩვენი გრანდი თანაჯგუფელები ალბათ სწორედ ამ შეხვედრაში გაარკვევენ ჯგუფში უძლიერესის ვინაობას. მეტოქეებს ჯერჯერობით ქულა არ დაუკარგავთ და არც ახლა აპირებენ რაიმეს დათმობას. ამ მატჩის ტელეტრანსლაციას მთელს ევროპაში და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ნახავენ. ინგლისიც და იტალიაც თამაშის მოლოდინში არიან, მანამდე კი მოქიშპენი საწვრთნელ ბანაკებში გამაგრდნენ.

იტალიელებმა საწვრთნელი შეკრება ფლორენციის საიახლოვეს, ერთ-ერთ დაბაში მოაწყვეს. ჩეზარე მალდინისთვის ინგლისი მეორე მეტოქეა, რაც ნაკრების მწვრთნელი გახდა. პირველს, ჩრდილოეთ ირლანდიას, პალერმოში უმასპინძლა და 2:0 მოუგო. მალდინიმ ეს სპარინგ-პარტნიორი იმიტომ აირჩია, თამაშის სტილით ინგლისელებს ჰგვანანო, თუმცა სრულიადაც არ დაიწყნია ის დიდი სხვაობა, რომელიც ჩრდილოირლანდიასა და ინგლისს შორის არსებობს. მაშინ ახალმა მწვრთნელმა რამდენიმე ფეხბურთელს ამპლუა შეუცვალა, თორემ მოთამაშეები იგივე ჰყავდა და ტაქტიკაც იგივე ჰქონდა, ვისაც და რასაც საკი ეყრდნობოდა. იმ თამაშში მამა ჩეზარემ შვილი პაოლო მარცხენა მცველის პოზიციიდან სტოპერად გადაიყვანა. შვილს ურიგოდ არ უთამაშია, მარცხენა ფლანგზე შვილის ნაცვლად ჩეზარეს „პარმას“ ანტონიო ბენარივოს გამწესება ჰქონდა განზრახული, თუმცა საბოლოოდ როგორი იქნება აპენინელთა დაცვა, ამას ხვალ შევიტყობთ. ახლახან დაშავდა კოსტაკურტა. რა თქმა უნდა, იტალიელთათვის იგი დიდი ძალაა, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, ჩეზარე მის შემცვლელს ვერ მონახავსო. თუმცა, გადაჭრით იმის მტკიცება, კოსტაკურტა ხვალ ვერ ითამაშებსო, ნაადრევია. მითუმეტეს, რომ მისი ტრავმა არც თუ ისე მძიმეა. ასევე მსუბუქადაა ტრავმირებული მადრიდის „რეალში“ ერთი თვის წინ გაქცეული პანუჩი, თუმცა მას „სკუადრა აძურასთან“ ერთად ვარჯიში არ შეუწყვეტია. სავარაუდოა, რომ ინგლისელ ფორვარდებს ჩეზარე პერსონალურად მოდარაჯეებს მიუჩენს. არც ის არის გამორიცხული, ხუთი მცველით ითამაშოს. ლიბერო ალბათ ჩირო ფერარა იქნება, რომელსაც ჩრდილოირლანდიელებთან ურიგოდ არ უთამაშია. ნახევარდაცვაში უფრო მალდინის საკმაოდ დიდი არჩევანი აქვს. ამ რგოლის ძირითადი ფიგურა, ალბათ, ალბერტინი იქნება. ნაკრებში გამოძახებულნი არიან ლაციოელი დიეგო ფუზერი, პარმელი დინო ბაჯო და იუვენტუსელი ანჯელო დი ლივიო. ეს უკანასკნელი ბოლო დროს არასტაბილურად თამაშობს და შესაძლოა, ჩეზარემ იგი სათადარიგოებში გაამწესოს. მწვრთნელმა ინგლისიდან ორი ნახევარმცველი გამოიძახა: „ჩელსის“ რობერტო დი მატეო და „შეფილდ უენსდეის“ ამადეო კარბონი. პირველმა ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში განაცხადა: „ნაკრებში ბრწყინვალე ატმოსფერო სუფევს, საკისდროინდელი ვითარება უკვალოდ გაქრა. მიხარია, რომ გამომიძახეს. ყველა კმაყოფილია ახალი მწვრთნელით, განსაკუთრებით მის მიერ არჩეული ტაქტიკით. ვფიქრობ, ჩეზარეს თავკაცობით იტალია ბევრს მიაღწევს.“ თავდასხმაში ჩეზარე ალბათ იმ ფეხბურთელებს დაეყრდნობა, რომელთაც საკი ათამაშებდა. დიდი შანსია, ხვალ ძირითადში ითამაშონ რავანელიმ და კაზირაგიმ. მიუხედავად იმისა, რომ ნაკრების ბოლო მატჩის მეორე ტაიმში კაზირაგი რავანელიმ შეცვალა, მათი ერთდროულად თამაში იტალიელთათვის საზიანო არ უნდა გამოდგეს. ჭალარა ფაბრიციომ საწვრთნელო ბანაკში, ჩეზარესთან საუბრისას, ინგლისელების „ჩაშვებას“ მიჰყო ხელი. მთელი საათი უყვებოდა მწვრთნელს ინგლისის ნაკრების წევრებზე: ვინ როგორ თამაშობს, ვის რა ნაკლი თუ ღირსება აქვს, ვინ რომელი ფეხით ურტყამს კარგად, ვინ თამაშობს თავით ძლიერად, ვის აწუხებს ტრავმა და მისთანენი. მოკლედ, ყველაფერი წვრილად დაფქვა. არაფერი გვითქვამს იტალიელთა ჩია გენიოსზე ჯანფრანკო ძოლაზე. იტალიელთა მთავარი ფიგურა ხომ სწორედ იგია. ძოლა „ჩელსიში“ ბრწყინვალედ თამაშობს, კარგ ფორმაშია და სავარაუდოდ იგი უფრო იქნება ძირითადში, ვიდრე დელ პიერო. ძოლას ჩეზარე ალბათ ფორვარდების ოდნავ უკან ათამაშებს, რათა ამათ ჯანფრანკოს ზუსტი და დროული პასებით მასპინძელთა კარები დალაშქრონ.

ჩეზარე მალდინიმ ახლახან განაცხადა: „ინგლისელებთან სათამაშოდ განსაკუთრებულად ვემზადებითო, რომ ვთქვა, ტყუილი იქნება. ამათ, როგორც მორიგ მეტოქეს, ისე განვიხილავ. თუ „უემბლიზე“ ძირითადად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ვიზრუნებთ, დავისჯებით. ამიტომ დაცვაში დგომას სულაც არ ვაპირებთ. ინლისელების შემდეგ 5 მატჩი გვაქვს სათამაშო, მათთან მოგებისთვის კი პრემიალურ ქულას არავინ დაგვიწერს. ინგლისი უბრალოდ რიგითი მეტოქეა და სხვა არაფერი.“

ეს რაც შეეხებოდა იტალიელებს, ახლა კი ინგლისელებზეც ვთქვათ.

ჰოდლმა მზადების მთელი პერიოდის მანძილზე ერთხელაც ვერ შეკრიბა გუნდი ისე, რომ რომელიმე მოთამაშე არ აკლდეს. ლამის დღეგამოშვებით აკლდებოდნენ ნაკრებს ტრავმებით გატანჯული სიმენი, ადამსი, ინსი, შირერი და ლი, რომლებიც სრული დატვირთვით ვარჯიშს ვერ ახერხებდნენ. თუმცა ორშაბათს, როგორც იქნა, ჰოდლმა ასე ნანატრი სრულფასოვანი ვარჯიში ჩაატარა. ახლაც არ არის გარკვეული, ითამაშებს თუ არა გესქოინი. ექიმების დასკვნით, გაზას ტრავმა ჯერ არ მოშუშებია და მისმა თამაშმა შეიძლება სავალალო შედეგი გამოიღოს. მთელი შეკრების მანძილზე გესქოინს ექიმები აკვირდებოდნენ და იგიც საგანგებოდ მისთვის შედგენილი პროგრამით ვარჯიშობდა. ინგლისელებს პრობლემები აქვთ თავდასხმაში. შირერის თამაში გადაწყვეტილი ამბავია — მცირე ტრავმის მიუხედავად, იგი მოედანზე გამოვა. საკითხავი ის გახლავთ, ვინ შეეწყვილება მას. ჰოდლმა რამდენიმე კანდიდატურა განიხილა. მას არც ინგლისელი ჟურნალისტები ჩამორჩნენ. რადგან მწვრთნელის აზრი უცნობია, სჯობს ისევ კოლეგების ნაზრევი გაგაცნოთ. თავიდან შირერის მეწყვილედ ფერდინანდს ასახელებდნენ. მათ უკვე ითამაშეს ერთად პოლონელების წინააღმდეგ, თუმცა ვერ იტყოდი, ძლიერადო. სწორედ ამიტომ შემოსწყრა მათ ჰოდლი: „შეიძლება ისინი კლუბში ბრწყინვალედ თამაშობენ, მაგრამ ეს ჩემთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია. „ნიუკასლი“ და ქვეყნის ნაკრები სხვადასხვა განზომილებაა.“ შირერ-ფერდინანდი გარედან ძლიერი წყვილის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა ყველაფერი არც ისე კარგად ყოფილა. „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ერთად ინგლისში ყველა წყვილზე მეტი გვაქვს გატანილი, მე ლესთან მოედანზე ურთიერთობა მიჭირს. მიმაჩნია, რომ კარგად შეთამაშებულები არ ვართ“ — განაცხადა შირერმა. ფერდინანდის გარდა ინგლისელებს შირერის მეწყვილედ ლივერპულელი რობი ფაულერი ეგულებათ. ახალგაზრდა ფორვარდი ძლიერად თამაშობს კლუბში და საკმაო გოლები გააქვს. რობი აშკარად ნიჭიერია, თუმცა შირერ-ფაულერის დუეტი ჯერ არ შემდგარა და ამიტომ ძნელია იმის ვარაუდი, რას მიაღწევენ ერთად. ბჭობდნენ ნიკ ბარმბის თაობაზეც, რომელიც თამაშის მანერით შერინგემს ჩამოჰგავს, თუმცა მას შემდეგ, რაც ინგლისელებმა კიშინიოვში მოლდოვას 3:0 მოუგეს, ნიკის საქმეები სულ უკან-უკან წავიდნენ. ინგლისის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირმა გარი ლინეკერმა ჰოდლს არსენალელი იან რაიტის ძირითადში დაყენება ურჩია. ლინეკერის აზრით, რაიტი ბრწყინვალე ფორმაშია, რასაც პრემიერლიგაში 17 გატანილი გოლიც მოწმობს. მოკლედ, ვის დააყენებს ჰოდლი შირერთან ერთად თავდასხმაში, მხოლოდ მან და უფალმა უწყიან. შეკრებაზე ჰოდლმა ჟურნალისტებისთვისაც გამონახა დრო: „ძირითადი მოთამაშეების ტრავმების მიუხედავად, გამარჯვების შანსებს 60-40-ზე ვაფასებ, რა თქმა უნდა, ჩვენს სასარგებლოდ. ჯერჯერობით შეკრებით კმაყოფილი ვარ, თუმცა ნაკრების ზოგიერთი წევრის ტრავმა მაფიქრებს. იმედი მაქვს, თამაშისთვის ყველა მზად იქნება.“ სანამ ჰოდლი ფეხბურთელებს ხვალინდელი მატჩისთვის ამზადებს, ინგლისელმა ჟურნალისტებმა მასპინძელთა ნაკრების თავიანთი ვარიანტი შემოგვთავაზეს: სიმენი, საუთგეიტი, ადამსი, პირსი, ბექემი, ბეტი, ინსი, ლე სო, მაკმანამანი, მერსონი, შირერი.

**ლაშა გოდუაძე**

# სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

### მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

11 თებერვალი (მონაკოში)

| | | | |
|---|---|---|---|
| ესტონეთი — შოტლანდია | 9,0 | 4,7 | 1,15 |
| 1:0 | 3,7 | 3,4 | 1,3 |

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისი — იტალია | 2,0 | 2,7 | 3,1 |
| ესპანეთი — მალტა | 1,05 | 6,0 | 14,0 |
| 0:4 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| კოლუმბია — არგენტინა | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| ეკვადორი — ურუგვაი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| პარაგვაი — პერუ | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| ბოლივია — ჩილე | 1,7 | 2,9 | 4,0 |

### ამხანაგური მატჩები

11 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩრდილოეთ ირლანდია — ბელგია | 2,5 | 2,5 | 2,4 |
| უელსი — ირლანდია | 2,4 | 2,5 | 2,5 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XXVII ტური

11 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰიბერნიანი — დანფერმლაინი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| კილმარნოკი — სელტიკი | 6,0 | 4,0 | 1,3 |
| 1:0 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| რეით როვერსი — მოზერველი | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| 12 თებერვალი | | | |
| რეინჯერსი — დანდი იუნაიტედი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| აბერდინი — ჰართსი | 1,6 | 3,0 | 4,4 |

### გერმანიის ჩემპიონატი. გამოტოვებული მატჩი

11 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ზანქტ პაული — ბოხუმი | 2,2 | 2,7 | 2,7 |

### ახალი კოეფიციენტები ევროპის ქვეყნების ეროვნულ ჩემპიონატებში გამარჯვებაზე

| გერმანია | |
|---|---|
| ბაიერნი | 1,5 |
| დორტმუნდი | 2,5 |
| ლევერკუზენი | 5,0 |
| შტუტგარტი | 5,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

| ინგლისი | |
|---|---|
| ლივერპული | 2,3 |
| მანჩესტერ იუნაიტედი | 2,5 |
| არსენალი | 3,5 |
| ნიუკასლი | 3,5 |
| დანარჩენი | 10,0 |

| ბელგია | |
|---|---|
| ბრიუგე | 1,7 |
| მუსკრონი | 2,5 |
| ანდერლეხტი | 3,5 |
| სტანდარდი | 6,0 |
| ლიერსი | 6,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ბარსელონა | 1,4 |
| რეალი | 2,5 |
| დანარჩენი | 10,0 |

| ჰოლანდია | |
|---|---|
| ეინდჰოვენი | 1,15 |
| ფეიენოორდი | 3,8 |
| აიაქსი | 8,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

| პორტუგალია | |
|---|---|
| პორტუ | — |
| ბენფიკა | 9,0 |
| სპორტინგი | 9,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

| თურქეთი | |
|---|---|
| გალათასარაი | 2,0 |
| ფენერბაჩე | 2,0 |
| ტრაბზონსფორი | 3,0 |
| ბეშიქთაში | 5,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| მონაკო | 1,3 |
| პარი სენ ჟერმენი | 2,8 |
| ბორდო | 7,0 |
| ნანტი | 7,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

| იტალია | |
|---|---|
| იუვენტუსი | 1,2 |
| ინტერი | 4,5 |
| სამპდორია | 5,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ქსამაქსი | 1,7 |
| გრასჰოპერი | 2,5 |
| სიონი | 7,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

| ავსტრია | |
|---|---|
| რაპიდი | 1,25 |
| ზალცბურგი | 3,1 |
| ტიროლი | 7,0 |
| აუსტრია | 8,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

| შოტლანდია | |
|---|---|
| რეინჯერსი | 1,1 |
| სელტიკი | 5,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

# CROCO-2

## ტირაჟი №17

1. ჩრდ. ირლანდია — ბელგია
2. უელსი — ირლანდია
3. ინგლისი — იტალია
4. კოლუმბია — არგენტინა
5. ეკვადორი — ურუგვაი
6. პარაგვაი — პერუ
7. ბოლივია — ჩილე
8. ზანქტ პაული — ბოხუმი

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

## ბოუმენი — 1000 მოგება!

**7 თებერვალი.** ნიუ ჯერზი — ფლორიდა 2:2, კალგარი — ვაშინგტონი 5:2.

**8 თებერვალი.** ბოსტონი — სენტ ლუისი 3:3, პიტსბურგი — დეტროიტი 5:6, ოტავა — სან ხოსე 3:3, მონრეალი — ჰართფორდი 3:2, აილენდერზი — რეინჯერზი 2:5, ნიუ ჯერზი — ფილადელფია 4:2, ტამპა — ბუფალო 1:3, ტორონტო — ვანკუვერი 4:2, კოლორადო — ჩიკაგო 2:4, ფინიქსი — დალასი 4:5, ედმონტონი — ანაჰაიმი 1:2.

**9 თებერვალი.** ბუფალო — ოტავა 2:1, ფლორიდა — რეინჯერზი 4:3, დალასი — ლოს ანჯელესი 2:1, კალგარი — ანაჰაიმი 6:1, ედმონტონი — ვაშინგტონი 4:1.

უქმეებზე გამართული მატჩებიდან ყურადღებას პიტსბურგი — დეტროიტის შეხვედრას მივაპყრობთ — ლიგის ყველაზე სახელიანმა მწვრთნელმა სკოტ ბოუმენმა თავისი ავტორიტეტი მე-1000 მოპოვებული გამარჯვებით განამტკიცა. ბოუმენს 28 წლის განმავლობაში ლიგის ხუთი გუნდი გაუწვრთნია. მისი საუკეთესო მიღწევები 70-იან წლებზე მოდის, როდესაც მონრეალმა ხუთჯერ აიღო სტენლის თასი. ბოუმენამდე ლიგის არცერთ მწვრთნელს არ მოუგია ამდენი თამაში, მისი პროცენტული შედეგიც ყველაზე მაღალია.

| | თ | მ | ფ | წ | % |
|---|---|---|---|---|---|
| ბოუმენი | 1707 | 1000 | 255 | 452 | 66,1 |
| სენტ ლუისი, მონრეალი, ბუფალო, პიტსბურგი, დეტროიტი | | | | | |
| ერბური | 1606 | 781 | 248 | 577 | 56,4 |
| სენტ ლუისი, აილენდერზი | | | | | |
| ირვინი | 1437 | 690 | 226 | 521 | 55,9 |
| ჩიკაგო, ტორონტო, მონრეალი | | | | | |
| რი | 1102 | 542 | 175 | 385 | 57,1 |
| ტორონტო, ჩიკაგო | | | | | |
| ბლეიკი | 914 | 500 | 159 | 255 | 63,4 |
| მონრეალი | | | | | |

თავად მატჩი კი დიდებული იყო. ჩვეულ სტილს არცერთმა კლუბმა არ უღალატა და თავისი მთავარი იარაღი — შეტევა ახლაც გამოიყენა. თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ — ლემიემ (2+0, 39) ორჯერ იმარჯვა, მაგრამ „ფრთებმა" შენაჰანის ძალისხმევით გაათანაბრეს თამაში. მესამე პერიოდში დერენ მაკარტის ზუსტი დარტყმის შემდეგ მეტოქეებს ოვერტაიმში მოუხდათ ურთიერთობის გარკვევა. აქ კი ბოუმენის ბიჭებს გაუღიმა ბედმა. შენაჰანმა გამარჯვების გოლი გაიტანა და ჰეთ-თრიქიც (მე-9 კარიერაში) შეასრულა. გახარებულმა იუბილარმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა: „ათასი მოგება ისეთი რამაა, რასაც ვერასდროს დაივიწყებენ". უნდა ითქვას, რომ წელს დეტროიტს არცერთი ოვერტაიმი არ წაუგია, პიტსბურგმა კი ვერცერთში ვერ გაიხარა.

შაბათს რეინჯერზმა და აილენდერზმა დერბი გამართეს. ამჯერად მოგება ფავორიტებს ხვდა წილად. მესიემ მორიგი (კარიერაში მე-19) ჰეთ-თრიქიც გააკეთა. კვლავ უგოლოდ დარჩა გრეცკი და მისი უშედეგო სერია 17 თამაშამდე გაგრძელდა (19 პასი).

ორ-ორი გამარჯვება მოიპოვეს კალგარიმ, ბუფალომ და დალასმა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი დალასის წარმატებაა, რადგან ორივე მატჩში გადამწყვეტი შაიბები ოვერტაიმებში გაახერხა. თანაც, ფინიქსთან თამაშის მსვლელობისას დალასელები 0:4 აგებდნენ, მაგრამ ბოლო პერიოდში შავი დღე აყარეს „კოიოტებს" (21 დარტყმა განახორციელეს, მაშინ, როცა ფინიქსმა მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ 23-ჯერ დაარტყა), ანგარიში გაათანაბრეს, დამატებით დროში კი საქმე დაასრულეს. ბოლო ორი გოლი ვერბიკმა (14) გაიტანა. რაც შეეხება ლოს ანჯელესთან შეხვედრას, დალასს წარმატება 1980 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნილ ბროტენმა მოუტანა. დალასმა ლიგაში მესამე ადგილზე აინაცვლა.

მოულოდნელი იყო კალგარის იღბლიანი გამოსვლა, რადგან მანამდე გუნდი უსუსურად გამოდიოდა. საინტერესოა, რომ აუტსაიდერის წარმატებაში მთავარი წვლილი იმ ჰოკეისტებმა შეიტანეს, კლუბის ხელმძღვანელობა გაცვლას რომ უპირებდა: განიემ 2 მატჩში 4 (3+1) ქულა დააგროვა, ჩეხმა რაიხელმა კი ორი გოლი დაამატა. 4 ქულა დააგროვა დებიუტანტმა აიჯინლამ (1+3).

ბუფალომ კვლავ დაიბრუნა დივიზიონის ლიდერობა, რაც აგრესორებით სავსე კლუბისთვის დიდი მიღწევაა. მოჩხუბრები გოლების გატანაშიც გაიწაფნენ: ტამპასთან ორჯერ გამოიჩინა თავი ნჰლ-ის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ჩხუბისთავმა ბარნაბმა.

მოულოდნელი მარცხი იწვნია კოლორადომ. თასის მფლობელმა თავის მოედანზე ვერაფერი გააწყო აგრესიულ ჩიკაგოსთან, რომლის მთავარმა მეპასემ ჟამნოვმა (1+1) ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გოლი გაიტანა. კოლორადოს ლიდერმა ფორსბერგმა კი ორჯერ წაკინკლავების გარდა ვერაფერი მოახერხა.

პიტსბურგელმა ფრენსიზმა კარიერაში 927-ე პასი გააკეთა და მეშვიდე ადგილზე გადაინაცვლა, ანაჰაიმელმა კარიამ კი მე-200 ქულა დააგროვა. ყურადღების ღირსია, რომ მარიო ლემიეს 600 შაიბის გასატანად 719 თამაში დასჭირდა, ხოლო დიდ გრეცკის თავის დროზე... 718.

**სამველ ლარიბიანი**

ბომბარდირები: ლემიე (პიტსბურგი) 89 (39+50), იაგრი (პიტსბურგი) 85 (44+41), გრეცკი (რეინჯერზი) 73 (16+57), სელიანე (ანაჰაიმი) 72 (32+40), სუნდინი (ტორონტო) 67 (32+35), ფრენსიზი (პიტსბურგი) 67 (20+47), მესიე (რეინჯერზი) 64 (32+32), ლეკლერი (ფილადელფია) 61 (33+28), ლიჩი (რეინჯერზი) 61 (16+45), კარია (ანაჰაიმი) 60 (24+36), ჰალი (სენტ ლუისი) და შენაჰანი (დეტროიტი) 59 (32+27), რექი 58 (26+32), დამფუსი (ორივე მონრეალი) 58 (20+38), ოუთსი (ბოსტონი) 58 (18+40).

სუნდსვალი '97

## მურვანიძე მეორეა!

შვედეთის ქალაქ სუნდსვალში მიმდინარე სპორტის ზამთრის სახეობების ევროპის ახალგაზრდობის III ოლიმპიური დღეების პროგრამით ფიგურულ ციგურაობაში [illegible] პროგრამის შემდეგ მე-4 იყო თბილისელი [illegible] მურვანიძე, [illegible] მეორე ადგილზე გადაინაცვლა და საბოლოოდ ვერცხლის მედალს დაეუფლა.

შეჯიბრებები გაასრულეს გიგანტურ სლალომში მოასპარეზეებმა. ბიჭებში 84 სპორტსმენი ცდიდა ძალას. ჩვენებიდან საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა თბილისელ ცოტნე ებრალიძეს — 46-ე ადგილი. მესტიელი მურთაზ ჯაფარიძე 59-ე იყო, ბაკურიანელი მიხეილ მიქაბერიძე — 65-ე. მეორე ბაკურიანელი რობერტ მახარაშვილი პირველი ცდის მერე შეჯიბრებას გამოეთიშა.

გოგონათა შორის მეორე ცდაზე მისი ბედი გაიზიარა თბილისელმა სოფიო ახმეტელმა.

ხელბურთი

## თურქია ვერ ითამაშებს

ფინეთთან მატჩის შემდეგ ჩვენი ლეგიონერები თავიანთ კლუბებში გაბრუნდნენ — კალანდაძე, ბოყოჩაძე და კეკელიძე მაკედონიაში, გელაშვილი კი საბერძნეთში. თბილისში დარჩა მხოლოდ გარი თურქია, რომელიც პირველ, ჰელსინკის მატჩში მძიმედ დაშავდა. ხელბურთელთა ნაკრების ექიმმა იური გოგიაშვილმა ამის თაობაზე გვითხრა:

— ტრავმა სერიოზულია, მაგრამ არც იმდენად, რომ თურქიას სათამაშო კარიერაზე იმოქმედოს. გარის მარჯვენა ფეხის მცირე წვივის ძვლის მოტეხილობა აქვს. ვარჯიშს, ალბათ, ორი თვის შემდეგ შეუდგება, ასე რომ, ჯგუფში დარჩენილ თამაშებს შვეიცარიასთან და ბელგიასთან გამოტოვებს, თუმცა მომავალში ნაკრებს მისი იმედი კვლავაც ექნება.

ჩოგბურთი

## ქალებმა დაამთავრეს, ვაჟებმა დაიწყეს

ლელა მესხის აკადემიის დარბაზის კორტებზე დამთავრდა საქართველოს ქალთა ზამთრის პირველობა. 16 მონაწილეს შორის ტრავმის გამო არ იყო შარშანდელი გამარჯვებული მარგალიტა ჩახნაშვილი. არ იყო ნინო ლუარსაბიშვილიც, რომელიც, მოგეხსენებათ, ამერიკაშია. ამ პირობებში, მოსალოდნელი იყო და, გაიმარჯვა სოფიკო მანაგაძემ, რომელმაც ირინა კაკულია დაამარცხა 7:5, 1:6, 6:0. კაკულია ფინალში მას მერე მოხვდა, რაც ნახევარფინალში მისი მეტოქე ნატო დოლიძე შეუძლოდ გახდა. ამავე მიზეზით ნატომ ვერ ითამაშა მატჩი მესამე ადგილისთვის ნინო ესებუასთან და საბოლოოდ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1 სოფიკო მანაგაძე; 2 ირინა კაკულია; 3 ნინო ესებუა.

გუშინ დაიწყო ვაჟთა პირველობაც. შეჯიბრებებში ირაკლი ლაბაძის, ჩოგბურთისთვის ნახევრადთავდანებებულ ვლადიმერ გაბრიჩიძისა და დავით კაჭარავას გარდა ყველა უძლიერესი მონაწილეობს.

ჭიდაობა

## მგრამელები შეგვეწივნენ

მაისში ფინეთი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს და იქ საქართველოს ნაკრებიც გამოვა. მაისამდე ცოტაღა დარჩა, ამიტომაც თურქეთიდან ახლახან დაბრუნებული საქართველოს ნაკრები 9 თებერვალს ისრაელს გაემგზავრა საერთაშორისო ტურნირში საასპარეზოდ. მასპინძლებმა მეტად ქველი საქმე გააკეთეს: ტურნირამდე, რომელიც 18 თებერვალს დაიწყება, 10-დღიან შეკრებაზე მიიწვიეს ჩვენებურები, შეკრებისა და ტურნირის მსვლელობისას ყველა ხარჯს ისრაელის ჭიდაობის ფედერაცია გაიღებს, მხოლოდ მგზავრობის თანხა გადაიხადა ჩვენმა დელეგაციამ. მუქთა 10-დღიან სრულფასოვან შეკრებაზე და A კატეგორიის ტურნირში მონაწილეობაზე ჩვენ კი არა, დაღხინებული ქვეყნის სპორტსმენებიც არ იტყვიან უარს.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ საისრაელოდ თითქმის იგივე ფალავნები ირჩია, ვინც თურქეთში იასპარეზა: ვაჟა ომანიძე (54 კგ), ალექსანდრე ბოლქვაძე (58), გიორგი ჯინჭველაშვილი (69), ხვიჩა ბიჩინაშვილი (76), ემზარ მახარაძე (85), ბაკურ გოგიტიძე (97). 63 კილოგრამში აკაკი ჩაჩუა კობა გულიაშვილმა შეცვალა, ხოლო მძიმეში ხვიჩა ქორიძე — მირიან გიორგაძემ. ისრაელს გაემგზავრა ტრავმამოშუშებული ტარიელ მელელაშვილიც, ოღონდ იგი მხოლოდ შეკრებაზე ივარჯიშებს.

ძიუდო

## ხახალეიშვილს კვლავ არ უჭიდავია

კვირას პარიზში დასრულებულმა უმაღლესი, A კატეგორიის ტურნირმა სანუგეშო ვერაფერი მოგვიტანა. ტატამზე გასული ხუთი ძიუდოისტი (მერაბ იოსებაშვილი, ზურაბ სამუკაშვილი, ლევან ციგრიაშვილი, გიორგი წმინდაშვილი, გია გუგავა) სამეულისა და მედლის გარეშე დაგვირჩა. რაც შეეხება მეექვსეს, ოლიმპიურ ჩემპიონ დავით ხახალეიშვილს, იგი პარიზში იყო, ოღონდ არ უჭიდავია. რა იყო ამის მიზეზი, ეს ჩვენი გუნდის საქართველოში დაბრუნების შემდეგ გახდება ცნობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# 47-ე ვარსკვლავთცვენა კლივლენდში

## 47-ე ოლ-სტარი

აღმოსავლეთი 132 — დასავლეთი 120

აღმოსავლეთი: ა. ჰარდევეი (19), ...რდანი (14), პიპენი (8), ...ლი (11), მუტომბო (3), ბეიკერი (19), ბრენდონი (10), ვებერი (2), ტ. ჰარდევეი (10), რა... (26), დუმარსი (3), ლეიტნერი (7)

დასავლეთი: სტოქტონი (12), პეიტონი (17), მელოუნი (4), კემპი (10), ოლაჯუონი (11), რიჩმონდი (9), სპრიუელი (19), გულიოტა (9), გარნეტი (6), ჯოუნსი (10), მოურნინგი (11), ჰეტლინგი (2) ...

მსაჯები: რონ გარეტსონი, მიკ ვანსი, ბილ ოუქსი

კლივლენდი. „განდ არენა". 9 თებერვალი. 20 562 მაყურებელი

47-ე ოლ-სტარის შესვენებისას ნბა-ს ყველა დროის 50 საუკეთესო კალათბურთელის დაჯილდოება გაიმართა. მათ შორის ორი ცოცხალი ლეგენდაც ერია — ჰელ გრიერი და უილტ ჩემბერლენი. 60-იანი წლების ვარსკვლავებს ზეიმი ერთგვარად ჩაუშხამდათ, რადგან „შარლოტ ჰორნეტსის" გლენ რაისმა ორივეს წაართვა ოლ-სტარის რეკორდები. თუმცა, ამაზე მოგვიანებით, მანამდე კი — აქვე დავძინოთ, რომ მოთამაშეებს პირველად ეცვათ თავიანთი კლუბის მაისურები, ოლ-სტარისთვის საგანგებოდ შეკერილი ფორმების ნაცვლად.

აღმოსავლეთმა ცუდად და უპერსპექტივოდ დაიწყო — პირველი მეოთხედი 21:34 წააგო. ასე ცოტა ქულა ერთ მეოთხედში უკანასკნელად 1977 წლის ოლ-სტარზე გაკეთებულა, ამაზე ცოტა კი ერთადერთხელ, 1970 წელს. მეორე მეოთხედის დამთავრებამდე 5,57 წუთით ადრე დასავლეთი უკვე 23 ქულას იგებდა — 53:30.

მაიკლ ჯორდანს შესვენებაზე ტიტული უნდა მიეცა და 50 საუკეთესოს შორის უნდა ჩამდგარიყო. იქამდე ზემოთ აღნიშნული დრო რომ რჩებოდა, მაიკლმა, ეტყობა, გადაწყვიტა ეჩვენებინა ხალხისთვის, თუ ვინ არის იმ 50-ში უპირველესი. ტიმ ჰარდევეი, აღმოსავლეთის უკანახაზელი: „მაიკლმა წაგება იუკადრისა. იგი თამაშში ჩაერთო და გაგვაგებინა, რა და როგორ გვეკეთებინა. ამის შემდეგ ჩვენც ავთამაშდით." ჯორდანმა ჯერ თანაკლუბელ სკოტი პიპენს ჩააწოდა, შემდეგ თავად ჩააგდო საშუალო მანძილიდან და ერთხელაც დაამატა. მერე კი ულამაზესი რამ გააკეთა: სამწამიანი ზონის ხაზიდან აფრინდა და გრანტ ჰილის აცდენილი საჯარიმო ჩატენა. ამ დროს აღმოსავლეთი ოთხ ქულასღა აგებდა — 54:58. საერთოდ, მეორე მეოთხედის დარჩენილი მონაკვეთი ჯორდანის თანაგუნდელებმა 27:7 მოიგეს და შესვენებაზეც მხოლოდ სამქულიანი დეფიციტით წავიდნენ.

შემდეგ 50 დიდის მიყვნენ. ცერემონიალზე ყველა ჩამოვიდა ლეგენდარული ჯერი ვესტის გარდა. ამ კაცს, რომელიც ნბა-ს ემბლემაზე გამოსახული, დაავადება შეეყარა — ცხვირით სუნთქვა გასჭირვებია, რამაც ფრენაში შეუშალა ხელი. ოლ-სტარის მონაწილეები დაჯილდოებას გასახდელში უყურებდნენ. გლენ რაისმა თქვა: „სასიამოვნო საქმეა იყო ერთად თავმოყრილი ნბა-ს ისტორია."

რა იცოდა რაისმა, თუ ორიოდ წუთში თავად შექმნიდა ოლ-სტარის ისტორიას. მესამე მეოთხედის დაწყებისთანავე მან ბოლო მოუღო დასავლეთს. ჯერ იყო და ზედიზედ ორჯერ ჩატენა ვინ ბეიკერის პასებით. ამას არ დასჯერდა და სულ რაღაც 49 წამში (!) ზედიზედ სამი სამქულიანი ჩააგდო: ჯერ მარჯვნიდან, მერე — მარცხნიდან, ბოლოს კი შუიდან. მესამე მეოთხედში რაისმა 20 ქულა დააგროვა — ეს ოლ-სტარის რეკორდია. წინა რეკორდი — 19 ქულა 1968 წელს ჰქონდა დამარებული ჰელ გრიერს. რაისმა კიდევ ერთი მიღწევა გააუქმა — ერთ ტაიმში 24 ქულა გააკეთა, რაც ერთი ქულით სჯობს უილტ ჩემბერლენის 1962 წლის შედეგს. 1987 წელს ჩემბერლენის რეკორდი ტომ ჩამბერსმაც გაიმეორა.

მესამე მეოთხედის დამთავრებამდე 2,30 წუთით ადრე აღმოსავლეთის მწვრთნელმა დაგ კოლინზმა რაისის ჯორდანით შეცვლა დააპირა, მაგრამ გლენი ისეთ სასწაულებს აკეთებდა, რომ მწვრთნელმა აზრი შეიცვალა და ჯორდანი სკამზე დატოვა. ამით ავტომატურად მიეცა პასუხი კითხვას — ვინ გახდებოდა ოლ-სტარის უძვირფასესი მოთამაშე. იმასღა დავამატებთ, რომ რაისი ოლ-სტარების მესამე უძვირფასესია, ვინც სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა. აქამდე ამგვარები ნეით არჩიბალდი (1981) და მიჩ რიჩმონდი (1995) იყვნენ. ჯორდანი კი — ისტორიაში ისიც შევიდა, როგორც ოლ-სტარების ისტორიაში პირველი სამმაგი დუბლის ავტორი. მაიკლმა 14 ქულა, 11 მოხსნა და 11 პასი გააკეთა. სხვათა შორის, რაც ჯორდანი კალათბურთში დაბრუნდა, პირველი სამმაგი დუბლი გააკეთა. რაისზე კი მოკლედ ეს თქვა: „გლენს რეკორდის დასამყარებლად ორი ქულაღა სჭირდებოდა, როცა კოლინზმა მითხრა, მოედანზე გადიო. მერე მოთამაშეებს ჰკითხა, დასვენება ვის გსურთო. ვუპასუხე, მე დავისვენებ-თქო. მინდოდა, რაისი ბედნიერი მენახა. მოხარული ვარ იმით, რაც მან გააკეთა."

თამაში კი — რაისის გმირობის შემდეგ აღმოსავლეთი 70:60 დაწინაურდა და მერე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.



გლენ რაისი: MVP!

## ახალბედათა ოლ-სტარი

აღმოსავლეთი 96 — დასავლეთი 91

აღმოსავლეთი: კემბი (18), უოქერი (20), დამპიე (11), ქითლზი (9), აივერსონი (19), ალენი (8), პოტაპენკო (6), უოლესი (5)

დასავლეთი: აბდურ-რაჰიმი (17), ბრაიანტი (31), ნაითი (9), ფიშერი (16), მელოუნი (6), ნეში (4), როჯერსი (2), რაიტი (7)

კლივლენდი. განდ არენა. 8 თებერვალი

აღმოსავლეთმა აქაც გაიმარჯვა, ოღონდ ძირითადი მატჩისგან განსხვავებით აქ სულ წინ იყო. ტაიმი 51:36 მოიგო. ახალბედები ერთთავად ლამაზად თამაშს ცდილობდნენ, ამიტომაც იყო, რომ მატჩის პირველ ტაიმში 18 ჩატენვა გაკეთდა. გუნდების მწვრთნელებად „ორი დიდი რედი" — აუერბახი და ჰოლცმანი იყვნენ. აუერბახი გამარჯვებულებს წვრთნიდა. მისმა მოთამაშემ, „ფილადელფიის" ალან აივერსონმა ახალბედათა ოლ-სტარის უძვირფასესი მოთამაშის ტიტული დაისაკუთრა, რაც აუერბახს ასე ათქმევინა: „ამ ბიჭს გაზრდა სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ უსაზღვრო ნიჭი და ბრძოლისუნარიანობა გააჩნია, გაწვრთნაც უნდა. ამგვარი მოთამაშეები ძალიან მიყვარს." ისე, აუერბახის სიტყვას ნბა-ში ბეჭედზე მეტი ძალა და ფასი აქვს.



ახალბედათა ოლ-სტარის უძვირფასესმა მოთამაშემ ალენ აივერსონმა 19 ქულას 9 პასიც დაურთო

## სამქულიანების კონკურსი

პირველი წრე

სტივ კერი (ჩიკაგო) ... უოლტ უილიამსი (ტორონტო) 18, ტიმ ლეგლერი (ვაშინგტონი) 17, გლენ რაისი (შარლოტი) 16, ჯონ სტოქტონი (იუტა) 12, დეილ ელისი (დენვერი) 12, ტერი მილსი (დეტროიტი) 11, სემ პერკინსი (სიეტლი) 8

ნახევარფინალი

კერი 21, ლეგლერი 19, რაისი 14, უილიამსი 11

ფინალი

კერი — ლეგლერი 22:18

კონკურსში გამარჯვებულმა სტივ კერმა ბოლოსდა გადაწყვიტა მონაწილეობა. პირველ წრეში ძლივს შეაღწია ოთხეულში, რამაც მერე ბრძოლის გაგრძელების საშუალება მისცა. ნახევარფინალში საქმე გამოასწორა, ფინალში კი შესანიშნავად ისროლა და 22:18 დაამარცხა შარშანდელი გამარჯვებული ტიმ ლეგლერი. ფინალში კერმა ზედიზედ ცხრა ბურთი ჩააგდო. კერის დასაწყისში სტივმა თავისი თავი შეადარა ოპერეტის მსახიობ ქალს სიუზან ლუჩის, რომელიც მრავალჯერ ყოფილა წარდგენილი „ემის" პრემიაზე, მაგრამ ვერასდროს მოიგო. სტივ კერს დარბაზში თავის ვაჟი, ნიკოლასი ჰყავდა მიყვანილი, რომელიც თავგამოდებული ქომაგობდა მამას.

## ჩატენვის კონკურსი

პირველი წრე

კრის კარი (მინესოტა) 44 ქულა, მაიკლ ფინლი (დალასი) 39, კობი ბრაიანტი (ლეიკერზი) 37, დერვინ ჰემი (დენვერი) 36, ბობ სურა (კლივლენდი) 35, რეი ალენი (მილუოკი) 35

ფინალი

ბრაიანტი 49, კარი 45, ფინლი 33

კონკურსს მეტად საპატიო ჟიური სჯიდა ჯულიუს ირვინგის, უოლტ ფრეზერის, ჯორჯ გერვინის, ბობ ლენიერის და კალათბურთელი ქალის ლიზა ლესლის შემადგენლობით. 18 წლის ლეიკერზელმა კობი ბრაიანტმა ამისთანა ხალხს თითქმის მაქსიმალური შეფასება (49 50-დან) გამოამეტებინა, არადა მისი ბედი ბეწვზე ეკიდა — დერვინ ჰემისთვის ორი ქულაც რომ წაემატებინათ, ფინალს მიღმა რჩებოდა. ბრაიანტი ფინალში მარცხენა ფერთიდან გამოიქცა, ბურთი მარცხენა ხელით ფეხებს შუა გაიტარა, მარჯვენა ხელში გადაიდო და იმავე ხელით „ქარის წისქვილად" წოდებული ჩატენვა გააკეთა. ეს პირველსავე ცდაზე მოხდა. ბრაიანტმა ამით 20 ათასი დოლარი ჩაიჯიბა.



ასე ჩააგდო სტივ კერმა ბოლო სამქულიანი



კობი ბრაიანტი



პიპენი და პეიტონი ბურთისთვის ჭიდაობენ

გინდათ, სამ თვეში უცხო ენას დაეუფლოთ?

ERC

მოაკითხეთ „ელიტა — ხკ"-ს თქვენ აქ შეგიძლიათ ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, ბერძნული, თურქული, არაბული, რუსული და ქართული (უცხოელთათვის) ენების სწავლა. ჯგუფებში 5-5 სტუდენტია და მეცადინეობები ყოველდღე ტარდება, შაბათ-კვირის გარდა. სტუდენტებისათვის სასურველ ადგილზე და მისაღებ დროში.

გინდათ ერთ თვეში პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობა ისწავლოთ? მოაკითხეთ „ელიტა — ხკ"-ს.

„ელიტა — ხკ"-ში შეიძენთ ლიტერატურას, კომპაქტ-დისკებს, ვიდეო თუ აუდიო კასეტებს, რომლებიც ენის შესწავლაში დაგეხმარებიან.

მოაკითხეთ „ელიტა ხკ"-ს ოფისს მელიქიშვილის 44-ში, ტრო ლედისთან, ან დარეკეთ 39-87-25

ბავშვთა კვება

Gerber

ახალი სიცოცხლის უმშვენიერესი დასაწყისი

ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული ლიდერის გერბერის პატარა ქილებში თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობა

# კრივი

# საბრალო ნარკომანი



ოლივერ მაქკოლის ორი სახე: შერკინებამდე — ღვთის-მოსავი, რინგზე — საქციელ-წამხდარი და გულ-აჩუყებული

ასოშიეითიდ პრესი ლას-ვეგასიდან

კრივი და ფარსი, აბა, რამ გაყო!

პარასკევსაც ასე იყო ლას-ვეგასის (ნევადა, აშშ) „ჰილტონში": 4 ათასმა მაყურებელმა ქოქოლა დააყარა ამერიკელ მძიმეწონოსან ოლივერ მაქკოლს, რომელიც გაგანია ჩხუბში ჯორივით დადგა, დებილივით ღრეჭა დაიწყო, მერე კი შეშლილივით აქვითინდა. გამოცდილ რეფერი მილზ ლეინს ერთი გამოსავალიღა დარჩა — მაქკოლს დისკვალიფიკაცია მისცა. შერკინება V რაუნდის 55-ე წამზე შეწყდა.

**31 წლის მაქკოლი (107,5 კგ; 28 მოგება, 6 წაგება; 20 ნოკაუტი)** თავისივე კბილა ბრიტანელ ლენოქს ლუისს **(114 კგ; 29 - 1; 24 ნოკაუტი)** ერკინებოდა კრივის მსოფლიო საბჭოს (ვბც) ვაკანტური სარტყულისათვის. ორივენი ამ ვერსიით ექს-ჩემპიონები იყვნენ. **1994** წლის სექტემბერში, „ლონდონ არენაზე", მაქკოლმა ნოკაუტით II რაუნდში დასცა ზორბა, მაგრამ დონდლო ლუისი.

„ჰილტონის" შერკინებას ეშხსა მატებდა ის, რომ სამი წლის წინ მაქკოლს წვრთნიდა ემანუელ სთიუარდი, რომელიც ახლა ლუისის გადიაა და ბევრი რამ შეასწავლა. და კიდევ, აუქციონით შერკინების გამართვის უფლება მაქკოლის პატრონის ფირმას — „დონ კინგ პროდაქშენზს" ერგო, მაგრამ მერე მეტოქე პრომოუტერის — დინო დუვას „მეინ ივენთსმა" სასამართლოს განჩინებით კინგს საკბილო გააგდებინა. ამის გამო კინგმა დუვას სატანა უწოდა.

ლუისი კარგი ბიჭია, მაქკოლი — ნარკომანი: ციხეშიც მჯდარა, შობაზე ნაძვის ხეც საჯაროდ დაურბევია. ნევადის შტატის ათლეტურმა კომისიამ ეს მშვენივრად უწყოდა და ამერიკელს სათანადო ტესტიც ჩააბარებინა.

არც მაქკოლი მჯდარა უქმად. გამოტყდა, წამლებს 13 წლის ასაკიდან ვეტანებიო. ბოლო დროს კაცი ქრისტიანულ რწმენას მიბრუნებია და ღმრთის შემწეობის დიდი იმედიცა ჰქონდა. ნარკოლოგიც იახლა ვარჯიშისა და თვით შერკინების დროსაც, მისმა მწვრთნელმა ჯორჯ ბენთონმა კი პრეს-კონფერენციაზე ბრძანა, ოლივერი ისე დაიწმინდა, როგორც ლორის ხაშიო.

ლუისი უსიტყვო ფავორიტად მიაჩნდათ. მაქკოლი ამას ვერ ეპუებოდა და ამბობდა, კარგია, ლენოქსს სთიუარდი რომ ავარჯიშებს — ჩემთვის ნათელია, მეტოქისგან რასაც უნდა ველოდეო. მაგრამ დაიწყო შერკინება და ლუისმა ცემით გაბერა ამერიკელი: მარჯვედ ხმარობდა მარცხენა ჯებს და დროდადრო მარჯვენასაც მოუნაცვლებდა. სამივე რაუნდი ბრიტანელის აშკარა უპირატესობით წარიმართა. მისი **263** დარტყმიდან **104** მიზანს მოხვდა. მაქკოლმა **75**-ჯერ გაუქანა მეტოქეს და **26**-ჯერ გაარტყა.

III რაუნდის შემდეგ ოლივერმა აურია — კუთხეში არ მიბრუნებულა და რინგზე აქეთ-იქით ბოდიალს მოჰყვა. IV რაუნდში მაქკოლს ხელი აღარ შეუბრუნებია მეტოქისათვის, რამაც ხალხი გააცოფა.

რეფერიმ გაურჩებულ მოკრივეს ხელი მოხვია და ისე მიაბრძანა მისიანებთან. მაქკოლი დაიმანჭა და ატირდა. კინგმა ბევრი უყვირა, მაგრამ ვერაფერი შეასმინა. შერკინების შემდეგ დუვამ კინგს გადაკრა, სიაფანდი მეტოქე — ფსიქიურად სნეული მოკრივე შემომაპარაო.

ათლეტური კომისიის თავკაცმა მარკ რატნერმა საკითხის გამოძიება ბრძანა. ლუისს 2 მილიონი ჩაუთვალეს, მაქკოლს კი 3 მილიონი დაუკავეს. იგი ფსიქიატრმაც გასინჯა, მაგრამ დაასკვნა, ნორმალურიაო, თვად ოლივერი კი შემოწყრა რეფერის, ტაქტიკური ჩანაფიქრი ვერ გამიგო, იჩქარა და გეგმები ამირიაო.

ვბც-მა ხელახალი შერკინების დანიშვნაზე დაიწყო მსჯელობა. ლუისის პრომოუტერ ფრენკ მელოუნის სხვა გეგმები აქვს. 90 დღეში ლენოქსი მსოფლიო ორგანიზაციის (ვბო) სარტყულისთვის უნდა შეარკინოს ამ ვერსიის ჩემპიონს, ბრიტანელსავე ზანგ ჰენრი აკინვანდეს.

# მთის თხილამურები

## მსოფლიოს

SESTRIERES '97

CAMPIONATI MONDIALI DI SCI ALPINO FIS

F I/S

## 25-ე პირველობა

კვირის ბოლოს სესტრიერეში (იტალია) მიმდინარე მსოფლიო პირველობას მაყურებელი მოემატა. არა, „ლა ბომბა" ტომბა შეჯიბრში ჯერ არ ჩაბმულა, მაგრამ ყველას მაინც თვალდათვალ სურდა ენახა ძველი გრანდები, პარასკევს ჰანდიკაპიან „ლეგენდათა გიგანტურ სლალომში" რომ ჩაებნენ.

საზოგადოება მოხიბლა შვედმა ინგემარ სტენმარკმა, მსოფლიო თასზე 86 ეტაპი რომ მოუგია, ახლა კი მონტე-კარლოში პერნილა ვიბერგის მეზობლად სახლობს. დიდი ჩემპიონი გაოცა გამგელებული მედიის ყურადღებამ და ათქმევინა, ჩემს დროს ასე როდი იყოო.

სტენმარკმა კარგად იასპარეზა, მაგრამ V ადგილს დაჯერდა, რადგან **1956** წლის ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონს, **61** წლის ავსტრიელ ტონი ზაილერს ასაკის წყალობით ფორა იმოტოლა დაუდგინეს, რომ გასამარჯვებლად ეყო და ჯილდოდ ახალი ავტო-მობილიც ერგო. ქალთაგან საუკეთესო დრო აღმოაჩნდა პენსიაზე ორი წლის წინ გასულ ფრენი შნაიდერს (შვეიცარია), მაგრამ იგი მანქანის ნაცვლად სკუტერით დაასაჩუქრეს.

## ბრუნო კერნენი

დაშვებაში 24 წლის ბრუნო კერნენის გამარჯვება მცირე სენსაციაა. მცირე იმიტომ, რომ ამ დასციპლინაში დიდ შეჯიბრებებს ხშირად იგებენ თითქმის უცნობი მოთხილამურეები, კერნენს კი ამ ზამთარს მსოფლიო თასზე ეტაპიც არ მოუგია, იანვარში ვენგენში საშინლადაც დაეცა, შარშან კი თხილამურებს კინაღამ დაანება თავი — კაცი თურმე გადადიოდა გორგოლაჭებიან ჰოკეიში, პარკეტზე და ასფალტზე რომ თამაშობენ თბილ ქვეყნებში: პორტუგალიაში, ესპანეთში, ანგოლაში, გვინეა-ბისაუში და მისთ.

კერნენმა ხუთშაბათს, კომბინაციაში ვერცხლის მედალი მოიხვეჭა. ამან დაამშვიდა და საკუთარი ძალების რწმენა შემატა. ეს ძლიერ გამოადგა კანდაარის მოლიპულ ტრასაზე, რომელზეც ბრუნო მე-14 დაეშვა.



მანამდე ოთხ გრანდს შეემთხვა მარცხი: ფრანც ვერნერი (ავსტრია) ნაპირა ბადეებს შეასკდა და მარჯვენა მაჯა და მარცხენა ფეხის ქუსლი მოიტეხა. მისი თანამემამულე იოზეფ შტრობლიც დაეცა. ავსტრიელივე პატრიკ ორთლიბი, დაშვების შარშანდელი ჩემპიონი რომაა, შეასკდა ღობეს, მაგრამ მოწინავე ათეულში მაინც მოხვდა. ფრანგ ლიუკ ალფონს თხილამურები გაძვრა, მაგრამ უვნებლად გადარჩა. [illegible] შენიშნა, [illegible]

კარგა ხანს ლიდერობდა მასპინძელთა კერპი გედინა. მეორე შტრობლი — ფრიცი, იოზეფის ოდენ მოგვარე რომაა, ისე დაეშვა, რომ ერთი პირობა წამით ჯობდა გედინას გრაფიკს, მაგრამ ტრასის ქვედა ნაწილში შეცდა და 0,01 წამი წააგო. მერე ნაავადმყოფარმა ხიუსმა და მაჩანჩალა კერნენმაც აჯობეს არა მარტო შტრობლს, არამედ გედინასაც. ამან ფრიცს ათქმევინა, ამას ვერასოდეს წარმოვიდგენდიო.

**8. II. ვაჟთა დაშვება**

1. ბრუნო კერნენი (შვეიცარია) 1.51,11; 2. ლასე ხიუსი (ნორვეგია) 1.51,18; 3. კრისტიან გედინა (იტალია) 1.51,46; 4. ფრიც შტრობლი (ავსტრია) 1.51,47; 5. ანდრეას შიფერერი (ავსტრია) 1.51,89; 6. ფრანკო კავენი (შვეიცრია) 1.52,02; 7. პიეტრო ვიტალინი (იტალია) 1.52,04; 8. პატრიკ ორთლიბი (ავსტრია) 1.52,25; 9. ხეტილ-ანდრე ომოდტი (ნორვეგია) 1.52,28; 10. ედ პოდივინსკი (კანადა) 1.52,41;

... 41. ზურაბ ჯიჯიშვილი (საქართველო) 2.00,63; ... 46 (ბოლო). დავით ნასყიდაშვილი (საქართველო) 2.04,85

## დებორა კომპანიონი

**26 წლის იტალიელმა სლალომის ოქროს გიგანტურისაც მიაყოლა.** როიტერ-ის ფოტოზე ორივეს ეამბორება. ბებერი ვახტერი ტრადიციულ IV ადგილს დაჯერდა, დებორა კი ტომბას ოქროთა რაოდენობით გაუსწორდა და შეიქნა პირველი იტალიელი, ვინაც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა.



მსოფლიო თასის ლიდერმა ვიბერგმა ვერც ამჯერად ივარგა. გერმანელმა მარტინა ერთლმა, იანვარში მუხლი რომ დაიშვა, ექიმებს არ დაუჯერა, ბანდაჟით იასპარეზა და XII ადგილი დაიკავა.

პიკარი I ცდის შემდეგ XII ადგილზე იყო, მაგრამ მერე დებორასაც აჯობა და კვარცხლბეკზე მოხვდა.

**9. II. ქალთა გიგანტური სლალომი**

| | ჯამი | I ცდა | II ცდა |
|---|---|---|---|
| 1 დებორა კომპანიონი (იტ) | 2.39,19 | 1.17,64 | 1.21,55 |
| 2 კარინ როტენი (შვეიც) | 2.39,99 | 1.18,37 | 1.21,62 |
| 3 ლელა პიკარი (საფრ) | 2.40,95 | 1.19,58 | 1.21,37 |
| 4 ანიტა ვახტერი (ავსტ) | 2.41,10 | 1.18,75 | 1.22,35 |
| 5 კატია ზაიცინგერი (გერ) | 2.41,25 | 1.19,18 | 1.22,07 |
| 6 პერნილა ვიბერგი (შვედ) | 2.41,34 | 1.19,16 | 1.22,18 |
| 7 იზოლდე კოსტნერი (იტ) | 2.41,61 | 1.19,20 | 1.22,41 |

# ჩოგბურთი

დევისის თასი. მსოფლიოს ჯგუფი

I წრე. მერვედფინალი. 7-9 თებერვალი

**ბრაზილია — აშშ 1-4**

0-1 მალ ვოშინგთონი — გუსტავო კერტენი 3:6, 7:6 (8-6), 7:6 (7-3), 6:3
0-2 ჯიმ კურიე — ფერნანდუ მელიჟენი 3:6, 6:1, 6:4, 4:6, 6:4
1-2 კერტენი და ჟაიმე ონსინსი — რიჩი რენებერგი და ალექს ობრაიენი 6:2, 6:4, 7:5
1-3 კურიე — კერტენი 6:3, 6:2, 5:7, 7:6 (13-11)
1-4 ობრაიენი — მელიჟენი 7:5, 7:6 (7-4)

აშშ-ს აკლდნენ პიტ სამპრასი (მსოფლიოს პირველი ჩოგანი), მაიქლ ჩანგი (**4**), ანდრე აგასი (**12**) და თოდ მარტინი (**14**). საშინლად ცხელოდა. ისევ უგვანოდ მოიქცნენ რიბერანუ-პრაეტუელი ქომაგები. ვეტერან კურიეს (**22**) პარასკევს **5**-ხელიანი ბრძოლა გადახდა. შაბათს ბრაზილიელებს წყვილთა თამაშის მოგებით გამარჯვების შანსი მიეცათ, მაგრამ კვირას კურიემ **3** საათსა და **36** წუთში გატეხა **20** წლის მეტოქე, კლასიფიკაციაში მასზე ბარემ **60** საფეხურით დაბლა რომა დგას. კურიეს მატჩის შემდეგ სითხის მარაგი საფუძვლიანად შეუვსეს, მასპინძელთა კაპიტანი პაულუ კლეტუ კი თავისი ბიჭებით კმაყოფილი დარჩა, თუმცა კი გუნდმა ბოლო **10** წლის მანძილზე პირველად წააგო შინ.

**რუმინეთი — ჰოლანდია 2-3**

1-0 ადრიან ვოინეა — პაულ პაარპუისი 4:6, 6:1, 6:3, 6:3
2-0 ანდრეი პაველი — იან სიმერინკი 6:2, 6:1, 4:6, 6:4
2-1 პაარპუისი და იაკო ელტინგი — რაზვან საბეუ და იონ მოლდოვანი 7:6 (7-4), 6:4, 6:3
2-2 სიმერინკი — ვოინეა 7:6 (8-6), 5:7, 6:7 (3-7), 7:6 (10-8), 6:4
2-3 პაარპუისი — პაველი 6:3, 6:1, 6:2

ჰოლანდიამ წაგებული მატჩი მოიგო. კრიტიკული მომენტი სიმერინკ — ვოინეას თამაშის IV ხელის თაი-ბრეიქში დადგა. სიმერინკი 3 მატჩ-პოინტს დაუძვრა — რომ წაეგო, რუმინეთი **3-1** გაიმარჯვებდა. ამ დროს **6** ათასმა ბუქარესტელმა მოსეირემ ისეთი ხმაური მორთო, რომ ბელგიელი მსაჯი მიშელ ვილემსი მათ დისკვალიფიკაციას დაექადნა.

**ავსტრალია — საფრანგეთი 4-1**

1-0 პატ რაფთერი — სედრიკ პიოლინი 3:6, 6:7 (5-7), 6:4, 7:5, 6:4
2-0 მარკ ვუდფორდი — არნო ბეჩი 6:4, 6:4, 6:3



მატჩის გმირი მარკ ვუდფორდი (მარჯვნივ) და თოდ ვუდბრიჯი ფრანგების გადამწყვეტ „ძლევის პროცესში"

ასოშიეითიდ პრესი სიდნეიდან

## ოზებმა ჩემპიონი გააპანღურეს

**1972** წლიდანაა, დევისის თასის ჩემპიონი ტიტულს პირველი წრიდანვე რომ იცავს. ჰოდა, წინა უქმეებზე ოდენ მეოთხედ მოხდა, რომ მფლობელი პირველმა მეტოქემვე დაიფრინა: „ოზებმა" ანუ ავსტრალიელებმა ორ დღეში გაბითურეს ფრანგები, რომლებმაც თასი ამ **10** კვირის წინ სტუმრად მოუგეს შვედებს. საგულისხმოა, რომ მფლობელი წინა ჯერზეც ავსტრალიამ შეარცხვინა — **1993** წელს აშშ სტარტზევე გაგდო.

3-0 თოდ ვუდბრიჯი და ვუდფორდი — გი ფორჟე და გიიომ რაუქსი 7:6 (8-6), 6:4, 6:3
4-0 სანდონ სთოლი — პიოლინი 7:6 (7-3), 6:4
4-1 ბეჩი — რაფთერი 4:6, 6:4, 7:6 (7-5)

საფრანგეთის კაპიტან იანიკ ნოას სრულფასოვანი, ჩემპიონი გუნდი ჰყავდა, ავსტრალიის მოძღვარ ჯონ ნიუკომბს კი ტრავმების გამო მოესაკლისებინა მარკ ფილიპუსისი და ჯეისონ სთოლთენბერგი. თამაში სიდნეის „ვაით-სითის" ბალახზე გაიმართა. სადაგ დღეებში გადაუღებლად რომ წვიმდა, მატჩი კინაღამ მელბურნის „კუიონგზე" გადაიტანეს.

პარასკევს რაფთერმა საწყისი ორი ხელი წააგო, მაგრამ მერე ნიუკომბმა ისე გაახელა, რომ ბერმუდის ბინადარმა ქვინზლენდელმა **4** საათსა და **15** წუთში გაიმარჯვა. მერე ბებერმა ჯონმა მოალორა ნოა: ბეჩს დააჯახა წყვილად თამაშის კარუზო ვუდფორდი იმ მოტივით, რომ მარკი ცაცაა, რომ მეტოქე ამას არ ელოდა და რომ იგი ფრანგებთან სხვა თანაგუნდელებზე უკეთ თამაშობს.

რისკმა გაამართლა: ვუდფორდმა დამაჯერებლად მოიგო, შაბათს კი მანა და ვუდბრიჯმა, დიდი სლემის ტურნირების 8-გზის ჩემპიონები რომ არიან, გადამწყვეტი და დევისის თასზე პირველი მარცხი აგემეს ფორჟე — რაუქსის დუეტს.

ნოას იხტიბარი არ გაუტეხავს: მხოლოდ დაიჩივლა, გათამაშების ფორმულა ეგებ ისე შეიცვალოს, რომ ჩემპიონი პირველსავე წრეში გავარდნისგან დაზღვეული იყოსო.

**ჩეხეთი — ინდოეთი 3-2**

1-0 პეტრ კორდა — მაეშ ბუპატი 6:3, 6:7 (2-7), 6:1, 6:2
1-1 ლეანდერ პაესი — ირჟი ნოვაკი 6:2, 6:3, 6:7 (5-7), 6:3
1-2 პაესი და ბუპატი — კორდა და მარტინ დამი 7:6 (9-7), 6:3, 6:4
2-2 კორდა — პაესი 5:7, 6:3, 6:4, 6:1
3-2 ნოვაკი — ბუპატი 6:1, 6:4, 6:3

**იტალია — მექსიკა 4-1**

1-0 ომარ კამპორეზე — ალეხანდრო ერნანდესი 2:6, 6:0, 6:4, 7:5
2-0 რენცო ფურლანი — ლუის ერერა 3:6, 6:1, 6:2, 6:1
3-0 დიეგო ნარჯიზო და სტეფანო პესკოსოლიდო — ერნანდესი და ლეონარდო ლავალე 6:1, 4:6, 7:6 (9-7), 6:3
4-0 ფურლანი — ერნანდესი 6:2, 6:3
4-1 ერერა — კამპორეზე 2:6, 6:3, 6:4

ინდოეთსა და მექსიკას პირველი ასეულის მოთამაშეები არა ჰყავთ, მაგრამ აზიელებმა მაინც გაიფაფხურეს და კორდას ათქმევინეს, დევისის თასზე მეტს აღარ ვითამაშებო.

**ესპანეთი — გერმანია 4-1**

1-0 კარლოს მოია — მარკ-კევინ გელნერი 6:4, 6:3, 6:3
2-0 ალბერტ კოსტა — ჰენდრიკ დრიკმანი 6:4, 6:1, 6:4
2-1 გელნერი და დავიდ პრინოზილი — კარლოს კოსტა და ალექს კორეჩა 6:2, 6:2, 6:3
3-1 მოია — დრიკმანი 6:4, 6:4, 7:5
4-1 ა. კოსტა — გელნერი 2:6, 7:6 (7-5), 6:1

ბორის ბეკერისა და მიხაელ შტიხის არყოფნამ გერმანიას უშანსოდ წააგებინა მოიას მშობლიურ ქალაქ პალმა-დე-მაიორკაში.

**სამხრ. აფრიკა — რუსეთი 3-1**

1-0 მარკოს ონდრუშკა — ანდრეი ჩესნოკოვი 7:6 (7-2), 6:3, 3:6, 4:6, 7:5
2-0 ვეინ ფერერა — ანდრეი ჩერკასოვი 7:5, 6:3, 3:6, 4:6, 8:6
3-0 ელის ფერერა და გრანთ სტაფორდი — ჩერკასოვი და ანდრეი ოლხოვსკი 6:2, 3:6, 6:0, 6:2
3-1 ჩესნოკოვი — ვ. ფერერა 2:6, 7:6 (9-7), 6:2

დურბანში უკაფელნიკოვოდა და უვოლკოვოდ დარჩენილ რუსებს სიცხემა და ტენმა მოუთავა ხელი. მერე გაწვიმდა და განრიგი აირია. აფრიკელებმა გამარჯვება რომ დაიბევეს, მსაჯმა ბოლო თამაში გააუქმა.

**შვედეთი — შვეიცარია 4-1**

0-1 მარკ როსე — მაგნუს ლარსონი 7:6 (7-3), 3:6, 6:4, 4:6, 13:11
1-1 თომას ენკვისტი — ლორენცო მანტა 7:6 (7-4), 7:6 (11-9), 6:2
2-1 ნიკლას კულტი და მიქაელ თილსტრომი — როსე და მანტა 5:7, 6:4, 6:3, 5:7, 6:4
3-1 ენკვისტი — როსე 6:3, 6:2, 3:6, 6:2
4-1 ლარსონი — ივო ჰოიბერგერი 3:6, 6:4, 6:2

ლულეოში აყლაყუდა, წითელწალება როსე ფაქტობრივად მარტო ეომა შარშანდელ ფინალისტ შვედებს და დამარცხდა.

მეოთხედფინალები (4-6. IV)): აშშ — ჰოლანდია, ავსტრალია — ჩეხეთი; ესპანეთი — იტალია, შვედეთი — სამხ. აფრიკა


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29